- შინაგანი ხახუნის კუთხე φ⁰=11.3⁰, შეჭიდულობა C=0.28 მპა.

-სტანდარტულ პენეტრაციაზე (SPT) ჩატარებული 1 ცდის შედეგების მიხედვით, არის ძალიან რბილი.

მე-6 ფენა- ქვიშა მტვროვანი, ნაცრისფერი, ფხვიერი, ტენიანი. ფენა გენეტიკურად ალუვიური გრუნტია(aQIV). იგი გამოვლენილია I ჭაბურღილში, 1 შურფ-ვეზ-ში და 1 ვეზ-ში, ტრასის იმ მონაკვეთებზე, სადაც მდინარის სხვადასხვა დონის ალუვიური ტერასებია განვითარებული. ფენის სისქე 0.80-დან 1.7მ-მდეა. ფენის გაგრძელების ფარგლები, როგორც ტრასის გასწვრივ ასევე სიღრმეში, გრაფიკულად ასახულია საპროექტო ტრასის გრძივ ჭრილზე (ნახაზები №GC-1324-2 და №GC-1324-3 მოცემულია მე-5 დანართში). ტრასის ზოლში ფენა-6-ის გაგრძელება, ჭაბურღილების მიხედვით, მოცემულია აგრეთვე ცხრილში.

ცხრილი 5.23 : მე-6 ფენის სიღრმის ინტერვალები შურფის და ვეზ-ების მიხედვით

რიგითი №	ჭაბურღილის №	ფენის სიღრმის ინტერვალი ჭაბურღილში,მ.	ფენის სისქე, მ.
1	HVES-9	0.00-1.70	1.70
2	HTP-VES-10	0.00-1.45	1.45
3	BP-VES-14	0.00-0.80	0.80

მე-6 ფენა გამოკვლეულია შურფიდან აღებული 1 ნიმუშით. გამოკვლევის შედეგები მოცემულია ცხრილებში.

ცხრილი 5.24 მე-6 ფენის გრანულომეტრიული შედგენილობა

რიდსდგვსდგვსდ	ჭაბურღილის №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის შემცველობა, %					
			კენჭნარი, 200.00-63.00-მმ	ხრეში, 63.00-2.00მმ	ქვიშა	მტვერი, 0.040-0.002მმ	თიხა, <0.002მმ	

					მსვეილი, 1.18-0.600მმ	საშუალო 0.425-0.212მმ	წვრილი, 0.150-0.063მმ		
25	HTR-VES-10	1.0-1.3	-	-	0.4	5.4	50.4	41.7	2.1

ცხრილი 5.25: მე-6 ფენისფიზიკური თვისებების პარამეტრთა სიდიდეები

რიგითი №	ჭაბურღილის№	ნიმუშისსადგების ინტერვალი, მ	ბუნებრივი ტენიანობა, W%	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი, I _L	სიმკვრივე, გრ/სმ ³			ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობისხარისხი, S _z
				ზედა ზღვარი, W _L %	ქვედა ზღვარი, W _P %	პლასტიკურობის რიცხვი, I _p		მინერალური ნაწილაკების, ρ _s	ბუნებრივი, ρ	ჩონჩხის, ρ _d			
25	HTR-VES-10	1.0-1.3	37.5	-	-	-	-	2.66	-	-	-	-	-

ცხრილებში მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე:

- -ის მიხედვით ფენა-6 არის ქვიშა მტვროვანი. ქვიშა ტენიანია;
- BS სტანდარტის მიხედვით ფენა-6 არის ტენიანი, ნაცრისფერი, ფხვიერი, მტვროვანი ქვიშა.

მე-7ფენა-კენჭნარი ქვიშის შემავსებლით და კაჭარის ჩანართებით 10%-მდე, წყალგაჯერებული, ფხვიერი. (aQ_{IV}). ფენა-7 გამოვლენილია მხოლოდ 3 ჭაბურღილში. ფენის სისქე 1.1-დან 1.55მ-მდეა. ფენის გავრცელების ფარგლები, როგორც ტრასის გასწვრივ ასევე სიღრმეში, გრაფიკულად ასახულია საპროექტო ტრასის გრძივ ჭრილზე ნახაზები №GC-1324-2 და№GC-1324-3 მოცემულია მე-5დანართში). ტრასის ზოლში ფენა-7-ის გავრცელება, ჭაბურღილების მიხედვით, მოცემულია აგრეთვე ცხრილში.

ცხრილი 5.26: ფენა-7-ის სიღრმის ინტერვალები შურფის და ვეზ-ების მიხედვით

რიგითი №	ჭაბურღილის №	ფენის სიღრმის ინტერვალი ჭაბურღილში,მ.	ფენის სისქე, მ.
1	HVES-9	1.70-3.00	1.3
2	HTP-VES-10	1.45-3.00	1.55
3	BP-VES-14	0.80-1.90	1.10

მე-7ფენა გამოკვლეულია შურფიდან აღებული 1 ნიმუშით. გამოკვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 5.27: მე-7 ფენის გრანულომეტრიული შედგენილობა

რიგითი №	ჭაბურღილის №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის შემცველობა, %							
			კაჭარი, >200.00-მმ	კენჭნარი, 200.00-63.00-მმ	ხრეში, 63.00-2.00მმ	ქვიშა			მტვერი, 0.040-0.002მმ	თიხა, <0.002მმ
						მსხვილი, 1.18-0.600მმ	საშუალო 0.425-0.212მმ	წვრილი, 0.150-0.063მმ		
26	HTP-VES-10	1.45-2.0	9.6	18.0	63.9	2.0	2.7	1.9	1.9	

ცხრილში მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე:

- ის მიხედვით მე-7 ფენა არის კენჭნაროვანი გრუნტი.
- **BS** სტანდარტის მიხედვით მე-7ფენა არის წყალგაჯერებული ფხვიერი, ქვიშიანი მომრგვალებული ხრეში, მომრგვალებულიკენჭისა და კაჭარის ჩანართებით.

მე-8ფენა- ხრეშოვანი გრუნტი, კენჭების ჩანართებით, ქვიშის შემავსებლით, ტენიანი. იგი გამოვლენილია 6 ჭაბურღილში, ფენის სისქე 0.90- დან 7.2 მ-მდე იცვლება. ფენის გავრცელების ფარგლები, როგორც ტრასის გასწვრივ ასევე სიღრმეში, გრაფიკულად ასახულია საპროექტო ტრასის გრძივ ჭრილზე (ნახაზები №GC-1324-2 და№GC-1324-3 მოცემულია მე-5დანართში). თრასის ზოლში ფენა-8-ის გავრცელება, ჭაბურღილების მიხედვით, მოცემულია აგრეთვე ცხრილში.

ცხრილი 5.28 მე-8 ფენის სიღრმის ინტერვალები ჭაბურღილების და ვეზულების მიხედვით

რიგითი №	ჭაბურღილის №	ფენის სიღრმის ინტერვალი ჭაბურღილში,მ.	ფენის სისქე, მ.
1	CB-2	0.60-4.00	3.4
2	CSS-10	0.00-3.50	3.50
3	HB-13	2.60-4.70	2.10
4	BP-14	2.00-2.90	0.90
5	BP-15	6.20-8.50	2.30
6	BP-16	6.40-8.80	2.40
7	BP-17	2.70-9.90	7.20

მე-8 ფენა გამოკვლეულია ჭაბურღილებიდან აღებული 6 ნიმუშით. გამოკვლევის შედეგები მოცემულია ცხრილებში.

ცხრილი 5.29: მე-8 ფენის გრანულომეტრიული შედგენილობა

რიგ	ჭაბურღილის №	ნიმუშის აღების	ფრაქციის შემცველობა, %			
			ს, 200.00-მმ	ს, 63.00	ქვიშა	ს, 0.040
						ს, 0.002

					მსველი, 1.18-0.600მმ	საშუალო 0.425-0.212მმ	წვრილი, 0.150-0.063მმ		
3	CB-2	1.0-3.0	21.8	57.6	4.7	5.7	3.9		6.3
32	HB-13	3.0-4.0	8.7	66.8	6.5	5.1	5.1		7.8
35	BP-14	2.0-2.9	5.8	65.3	5.3	7.8	7.0		8.8
41	BP-15	7.0-8.0	8.7	66.8	5.8	5.3	4.6		8.8
48	BP-16	7.0-8.0		58.5	4.9	20.7	7.8		8.1
57	BP-17	6.0-7.0	5.0	70.1	4.3	10.7	4.7		5.2

ცხრილი 5.30: მე-8 ფენისფიზიკური თვისებების პარამეტრთა სიდიდეები

რიგითი №	ჭაბუკრიდის №	ნიმუშის საღების ინტერვალი, მ.	ბუნებრივი ტენიანობა, W%	პლასტიკურობა				სიმკვრივე, გრ/სმ ³			ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის სარისხი, S _z
				ზედა ზღვარი, W _L %	ქვედა ზღვარი, W _p %	პლასტიკურობის რიცხვი, I _p	კონსისტენციის მაჩვენებელი, I _L	მინერალური ნაწილაკების, ρ _s	ბუნებრივი, ρ	ჩონჩხის, ρ _d			
3	CB-2	1.0-3.0	4.1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
32	HB-13	3.0-4.0	2.5	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
35	BP-14	2.0-2.9	3.9	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
48	BP-16	7.0-8.0	3.9	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

მე-8 ფენაზე ჩატარდა სტანდარტული პენეტრაციის ცდები. ცდების შედეგები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 5.31: მე-8 ფენაზე ჩატარებული სტანდარტული პენეტრაციის(SPT) შედეგები

რიგითი №	ჭაბ.№	პენეტრაციის სიღრმე,მ	პენეტრაციის ინტერვალი,სმ			B+C
			A	B	C	
			0-15სმ	15-30სმ	30-45სმ	
1	BP-14	2.3	28	35	35	70
2	BP-15	6.0	7	25	36	61
3		7.0	32	36	38	74
4	BP-16	7.6	50/15			
5	BP-17	3.0	15	21	20	41
6		4.5	18	22	21	43
7		6.0	50/12			
8		7.5	25	20	21	41

რიგითი №	ჭაბ.№	პენეტრაციის სიღრმე,მ	პენეტრაციის ინტერვალი,სმ			B+C
			A	B	C	
			0-15სმ	15-30სმ	30-45სმ	
9		9.0	24	25	25	50
10	CB-2	1.6	33	39	28	67
11		3.0	28	30	34	64
12	HB-13	3.5	50/13			

ცხრილებში მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე:

- ის მიხედვით მე-8 ფენა არის ხრეშოვანი გრუნტი. ხრეში ტენიანია, ზოგან წყალგაჯერებული;
- **BS** სტანდარტის მიხედვით მე-8 ფენა არის სუსტად ტენიანი ან წყალგაჯერებული, ღიაყავისფერი, ძლიერმკვრივი, სუსტადქვიშიანი, მტვროვანი მომრგვალებული ხრეში, კენჭების ჩანართებით.
- სტანდარტულ პენეტრაციაზე (SPT) ჩატარებული ცდების შედეგების მიხედვით,4 შემთხვევაში ფენა-8 არის მკვრივი, ხოლო 8 შემთხვევაში- ძალიან მკვრივი.

მე-9ფენა-თიხა ნაცრისფერი და მოყავისფრო-ნაცრისფერი, თხელ შრეებრივი, მაგარი. მიუხედავად იმისა, რომ იგი სტრატეგრაფიულად ოლიგოცენური (Pg3) ზღვიური დანალექი გრუნტია, თავისი თვისებების მიხედვით არ წარმოადგენს კლდოვანგრუნტს, ამიტომ იგი მეოთხეული თიხოვანი გრუნტების კლასს მიეკუთვნება. ავრცელებულია საპროექტო ტრასის იმ მონაკვეთზე, სადაც ის მდ. მტკვრის დაბალი ჭაღის ზედა ტერასაზეა განლაგებული (პკ94–პკ 1107). ფენა-9 gamovlenilia 1 ჭაბურღილში. ფენის გავრცელების ფარგლები, როგორც ტრასის გასწვრივ ასევე სიღრმეში, გრაფიკულად ასახულია საპროექტო ტრასის გრძივ ჭრილზე (ნახაზები№GC-1324-2 და№GC-1324-3 მოცემულია მე-5დანართში). თრასის ზოლში მე-9ფენის გავრცელება, ჭაბურღილების მიხედვით, მოცემულია აგრეთვე ცხრილში.

ცხრილი 5.32:მე-9 ფენის სიღრმის ინტერვალები ჭაბურღილის მიხედვით

რიგითი №	ჭაბურღილის №	ფენის სიღრმის ინტერვალი ჭაბურღილში, მ	ფენის სისქე, მ.
1	BP-17	9.90-16.00	6.10

მე-9 ფენა გამოკვლეულია ჭაბურღილებიდან აღებული 2 ნიმუშით. გამოკვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 5.33: მე-9 ფენის ფიზიკური თვისებების პარამეტრთა სიდიდეები.

რიგითი №	ჭაბუკრიდის №	ნიმუშის სადგების ინტერვალი, მ	ბუნებრივი ტენიანობა, W%	პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი, L	სიმკვრივე, გრ/სმ ³			ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის ხარისხი, S _z
				ზედა ზღვარი, W _L %	ქვედა ზღვარი, W _p %	პლასტიკურობის რიცხვი, I _p		მინერალური ნაწილაკების, ρ _s	ბუნებრივი, ρ	ჩონჩხის, ρ _d			
58	BP-17	10.5-10.7	25.1	41.1	22.3	18.8	0.15	2.74	1.92	1.53	43.99	0.785	0.876
59	BP-17	11.0-11.3	22.3	64.6	32.0	32.6	-0.30	2.74	1.96	1.60	41.51	0.710	0.861

მე-9 ფენაზე ჩატარდა სტანდარტული პენეტრაციის ცდები. ცდების შედეგები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 5.34: მე-9 ფენაზე ჩატარებული სტანდარტული პენეტრაციის (შ თ) შედეგები

რიგითი №	ჭაბ.№	პენეტრაციის სიღრმე,მ	პენეტრაციის ინტერვალი, სმ			B+C
			A	B	C	
			0-15სმ	15-30სმ	30-45სმ	
1	BP-17	10.5	10	16	18	34
2		12.0	22	23	25	48
3		14.0	20	25	25	50

ცხრილებში მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე:

- ის მიხედვით მე-9 ფენა არის მაგარი თიხა;
- **BS** სტანდარტის მიხედვით მე-9 ფენა არის სუსტად ტენიანი, ნაცრისფერი და მოყავისფრო-ნაცრისფერი, თხელ შრეებრივი, მაგარი თიხა.
- სტანდარტულ პენეტრაციაზე (SPT) ჩატარებული ცდების შედეგების მიხედვით, მე-9 ენა არის ძალიან ხისტი.

გრუნტების ფენების ზემოთ მოცემული დახასიათებისა და თვისებების პარამეტრთა სიდიდეების მიხედვით, გაკეთდა მათი კლასიფიკაცია და **BS** სტანდარტების მიხედვით, რაც ქვემოთ ცხრილების სახითაა მოცემული.

ცხრილი 5.35: გრუნტების კლასიფიკაცია

25100-82-ის მიხედვით

ჯგუფი	ქვეჯგუფი	პირობითი აღნიშვნა და გეოლოგიური ინდექსი	გრუნტის ფენის №	გრუნტების აღწერა (-ისმიხედვით)	
სელონური	ყრილი	$t_{Q_{IV}}$	1	ხრეშიქვიშის შემავსებლით	
		$t_{Q_{IV}}$	2	თიხა მუქი-ნაცრისფერი-მოშავო, მაგარი და ნახევრადმაგარი, კენჭების და სამშენებლო - საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცველობით	
		$t_{Q_{IV}}$	3	ღორღი და ხვინჯაქვიშნარის შემავსებლით, ლოდების ჩანართებით და სამშენებლო ნარჩენების შემცველობით, მცირედ ტენიანი	
დანალექი შეუცემენტებელი	მტვროვანი და თიხოვანი	დეკლუვიურ-პროკლუვიური	$dp_{Q_{IV}}$	4	თიხა ყავისფერი, მაგარი, ხრეშის და კენჭების შემცველობით
			$dp_{Q_{IV}}$	5	თიხნარიყავისფერირბილპლასტიკური, ხრეშის 10%-მდე ჩანართებით
	მსხვილნატე-სოვანი	ალუვიური	$a_{Q_{IV}}$	6	ქვიშა მტვროვანი, ნაცრისფერი, ფხვიერი, ტენიანი
			$a_{Q_{IV}}$	7	კენჭნარიქვიშის შემავსებლით და კაჭარის ჩანართებით 10%-მდე, წყალგაჯერებული, ფხვიერი
დანალექი	მტვროვანი და თიხოვანი	ზღვიური	$a_{Q_{IV}}$	8	ხრეშოვანი გრუნტი, კენჭების ჩანართებით, ქვიშის შემავსებლით, ტენიანი
			$pg_3N_2S_c$	9	თიხა ნაცრისფერი და მოყავისფრო-ნაცრისფერი, თხელშრეებრივი, მაგარი

ცხრილი 5.36: გრუნტების კლასიფიკაცია BS-ის მიხედვით

ჯგუფი	გამეტაკური ტიპი	პირობითი აღნიშვნა და გეოლოგიური ინდექსი	გრუნტის ფენის №	გრუნტების აღწერა (BS სტანდარტის მიხედვით)
წვრილმარცვლოვანი გრუნტი	ყრილი	$t_{Q_{IV}}$	1	ქვიშოვანი ხრეში
	ტექნოგენური გრუნტი	$t_{Q_{IV}}$	2	ტენიანი მუქი-ნაცრისფერი-მოშავო მტროვანი, სუსტად ქვიშიანი, მცირედ ხრეშიანი, ძლიერ ხისტი და ხისტი საშუალო პლასტიკურობისა, კენჭების და სამშენებლო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცველობით
მსხვილმარცვლოვანი გრუნტი	ტექნოგენური გრუნტი	$t_{Q_{IV}}$	3	მცირედ ტენიანი, სუსტად ქვიშიანი დაკუთხული ხრეში, დაბალპლასტიკური ქვიშიანი თიხის შემავსებლით, დაკუთხული კაჭარის ჩანართებით და სამშენებლო ნარჩენების შემცველობით
წვრილმარცვლოვანი გრუნტი	დეკლუვიური პროლოვიური	$t_{Q_{IV}}$	4	სუსტად ტენიანი, ყავისფერი, მტროვანი, სუსტად ქვიშიანი ხისტი, საშუალო და დაბალპლასტიკურობისა, ხრეშის და კენჭების შემცველობით
		$dp_{Q_{IV}}$	5	ძლიერ ტენიანი, ყავისფერი, ძალიან რბილი და დაბალპლასტიკურობისა მომრგვალებული ხრეშის ჩანართებით
მსხვილმარცვლოვანი გრუნტი	ალუვიური	$dp_{Q_{IV}}$	6	ტენიანი, ნაცრისფერი, ფხვიერი მტროვანი ქვიშა
		$a_{Q_{IV}}$	7	წყალგაჯერებული ფხვიერი, ქვიშიანი მომრგვალებული ხრეში, მომრგვალებული კენჭისა და კაჭარის ჩანართებით
		$a_{Q_{IV}}$	8	სუსტად ტენიანი, ღია ყავისფერი, ძლიერ მკვრივი, სუსტად ქვიშიანი, მტროვანი მომრგვალებული ხრეში კენჭების ჩანართებით
წვრილმარცვლოვანი გრუნტი	ზღვიურ-დანალექი	pg_3N_2Sc	9	შუსტად ტენიანი, ნაცრისფერი და მოყავისფრო-ნაცრისფერი, თხელ შრეებრივი, მაგარი თიხა

5.2.2. კლდოვანი ქანების ლაბორატორიული კვლევის შედეგები

როგორც ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების ნაწილში (პუნქტ 1.2.3) იყო აღნიშნული, საპროექტო გზის განლაგების ტერიტორია წარმოდგენილია პალეოგენური და ნეოგენური ასაკის ძირითადი ქანების წყება, რომელზეც ცვალებადი სისქის ფენადაა განლაგებული ზემოთ აღწერილი მეოთხეული (Q) გრუნტები. ჭყება ლითოლოგიურად წარმოდგენილია ძირითადად ქვიშაქვებითა და არგილიტებით. წყებაში გამოიყოფა 3 „დასტა“. დასტების ნომრები უშუალოდ აგრძელებს გრუნტების ზემოთ დახასიათებული ფენების ნომრებს (10, 11, 12).

ასტები გრაფიკულად ასახულია ტრასის გრძივ საინჟინრო-გეოლოგიურ ჭრილზე (ნახაზები №GC-1324-2 და №GC-1324-3 მოცემულია მე-5 დანართში). Xოლო მათი გავრცელება, ჭაბურღილების მიხედვით, მოცემულია აგრეთვე ცხრილებში.

ცხრილი 5.37: დასტა-10-ის სიღრმის ინტერვალები ჭაბურღილების და ვეზ-ების მიხედვით

რიგითი №	ჭაბურღილის №	დასტის სიღრმის ინტერვალი ჭაბურღილში, მ	დასტის სისქე, მ.
1	CB-1	0.10-3.55	3.45
2	CB-2	4.00-4.40	0.40
3	CSS-8	0.00-1.50	1.50
4	CSS-9	1.50-3.00	1.50
5	CSS-10	3.50-4.00	0.50
6	UB-1	4.50-6.20	1.70
7	UB-2	2.20-3.00	0.80
8	HB-9	0.90-1.50	0.60
9	HB-12	1.90-2.60	0.70
10	HVES-12	0.90-1.80	0.90
11	HB-13	4.70-5.10	0.40
12	BP-14	2.90-3.90	1.00
13	BP-15	5.50-9.00	3.50
14	BP-16	8.80-10.40	1.60

ცხრილი 5.38: დასტა-11-ის სიღრმის ინტერვალები ჭაბურღილების და ვეზ-ების მიხედვით

რიგითი №	ჭაბურღილის №	დასტის სიღრმის ინტერვალი ჭაბურღილში, მ	დასტის სისქე, მ.
1	CB-1	3.55-20.00	16.45
2	CB-2	4.40-20.00	15.60
3	CSS-8	1.50-12.00	1.50
4	CSS-9	3.00-12.00	9.00

5	CSS-10	4.00-12.00	8.00
6	UB-1	6.20-10.00	3.80
7	UB-2	3.00-10.00	7.00
8	HB-9	1.50-6.00	4.50
9	HVES-9	3.00-6.00	3.00
10	HTP-VES-10	3.00-15.00	12.00
11	HB-12	2.60-9.00	6.40
12	HVES-12	1.80-6.00	4.20
13	BP-14	3.90-8.00	4.10
14	BP-VES-14	1.90-8.00	6.10

ცხრილი 5.39: დასტა-12-ის სიღრმის ინტერვალები ჭაბურღილების და ვეზ-ების მიხედვით

რიგითი №	ჭაბურღილის №	დასტის სიღრმის ინტერვალი ჭაბურღილში, მ	დასტის სისქე, მ.
1	BP-13	4.70-12.00	7.30
2	BP-15	9.00-16.00	7.00
3	BP-16	10.40-20.00	9.60
4	BP-17	16.00-20.00	4.00

დასტა-10-ს, დასტა-11-ის და დასტა-12-ის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგები სრულად წარმოდგენილია გრუნტებისა და ქანების ლაბორატორიული კვლევის კრებსით უწყისში (იხ. დანართ-4). მახასიათებელთა ნორმატიული მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 5.40: კლდოვანი ქანების (დასტა-10, დასტა-11 და დასტა-12) სიმკვრივისა და სიმტკიცის მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობები.

ლითოსტრატი-გრაფიული ერთეული	დასტის №	ქანების დასტის აღწერა	სიმკვრივე, ρგრ/სმ ³	სიმტკიცე ერთდერძა კუმშვაზე R _c , მპა
Pg ₂ , Pg ₃ , N ₁ Sc	10	ქვიშაქვები და არგილიტები მოყვითალო-ყავისფერი ძლიერ გამოფიტული, მცირე და დაბალი სიმტკიცის	2.30	7.79
Pg ₂	11	ქვიშაქვები პოლიმიქტური და ტუფოგენური, მოყავისფრო-ნაცრისფერი და მომწვანო-ნაცრისფერისა შუალოდა სქელ შრეებრივი, სუსტად გამოფიტული, საშუალო სიმტკიცის და მტკიცე	2.41	59.8
Pg ₃ , N ₁ Sc	12	არგილიტები მოშავომუქი ნაცრისფერი, თხელ შრეებრივი, სუსტად გამოფიტული, დაბალი	2.19	6.26

ლითოსტრატო-გრაფიული ერთეული	დასტის №	ქანების დასტის აღწერა	სიმკვრივე, ρგრ/სმ ³	სიმტკიცე ერთდერძა კუმშვაზე R _c , მპა
		დამცირე სიმტკიცის, ალევროლითებისა და ქვიშაქვების თხელი (2-5მმ) შუაშრებით		

გარდა ამისა, დასტა-10-ში და დასტა-12-ში ჩატარებული სტანდარტული პენეტრაციის (SPT) ცდები. ცდების შედეგები მოყვანილია ცხრილებში.

ცხრილი 5.41: დასტა-10-ში და დასტა-12-ში ჩატარებული სტანდარტული პენეტრაციის (SPT) შედეგები

დასტის №	ჭაბ.№	სიღრმე, მ	პენეტრაციის ინტერვალი, სმ			B+C
			A	B	C	
			0-15სმ	15-30სმ	30-45სმ	
10	UB-1	4.5	50/3sm	-	-	>50
12	BP-17	16.5	34	39	43	>50
		18.0	50/11	-	-	>50
		19.6	50/12	-	-	>50
	HB-13	6.0	50/5	-	-	>50

ცხრილში მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე, _____-ის მიხედვით:

- დასტა-10 (გამოფიტული ქვიშაქვები) არის მცირე სიმტკიცის ქანი, რადგან სიმტკიცის მახასიათებელი $R_c=7.79$ მპა (ანუ $R_c 15 \geq R_c \geq 5$ მპა);
- დასტა-11 (სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები) არის მტკიცე ქანი, რადგან სიმტკიცის მახასიათებელი $R_c=59.8$ მპა (ანუ $R_c 120 \geq R_c > 50$ მპა);
- დასტა-12 (არგილიტები) არის მცირე სიმტკიცის ქანი, რადგან სიმტკიცის მახასიათებელი $R_c=6.26$ მპა (ანუ $R_c 15 \geq R_c \geq 5$ მპა);

ცხრილებში მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე, BS-ის მიხედვით:

- დასტა-10 (გამოფიტული ქვიშაქვები) არის ზომიერად სუსტი ქანი, რადგან სიმტკიცის მახასიათებელი $R_c=7.79$ მპა (ანუ 5 მპა-დან 12.5 მპა-მდე ფარგლებშია);
- დასტა-11 (სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები) არის მტკიცე ქანი, რადგან სიმტკიცის მახასიათებელი $R_c=59.8$ მპა (ანუ 50 მპა-დან 100 მპა-მდე ფარგლებშია);
- დასტა-12 (არგილიტები) არის ზომიერად სუსტი ქანი, რადგან სიმტკიცის მახასიათებელი $R_c=6.26$ მპა (ანუ 5 მპა-დან 12.5 მპა-მდე ფარგლებშია);

კლდოვანი ქანების დასტების ზემოთ მოცემული დახასიათებისა და თვისებების პარამეტრთა სიდიდეების შესაბამისად, გაკეთდა მათი კლასიფიკაცია და BS სტანდარტების მიხედვით, რაც ქვემოთ ცხრილების სახითაა მოცემული.

ცხრილი 5.42: კლდოვანი ქანების კლასიფიკაცია 25100-82-ის მიხედვით

ჯგუფი	პირობითი აღნიშვნა და გეოლოგიური ინდექსი	დასტის №	გრუნტების აღწერა (-ისმიხედვით)
დანალექი შეცემენტებული	Pg ₃	10	ქვიშაქვებმოყვითალო-ყავისფერი ძლიერ გამოფიტული, მცირე და დაბალი სიმტკიცის
	Pg ₃	11	ქვიშაქვები პოლიმიქტური და ტუფოგენური, მოყავისფრო-ნაცრისფერი და მომწვანო-ნაცრისფერი საშუალო და სქელშრებრივი, სუსტად გამოფიტული, საშუალო სიმტკიცისდა მტკიცე
	pg ₃ N ₂ S _c	12	არგილიტებმოშავომუქი ნაცრისფერი, თხელშრებრივი, სუსტად გამოფიტული ,დაბალი და მცირესიმტკიცის, ალევროლითებისა დაქვიშაქვების თხელი (2-5მმ) შუაშრებით

ცხრილი 5.43: კლდოვანი ქანების კლასიფიკაციაBS-ის მიხედვით

გენეტიკური ტიპი	პირობითი აღნიშვნა და გეოლოგიური ინდექსი	დასტის №	გრუნტების აღწერა (BSსტანდარტისმიხედვით)
ზღვიურ-დანალექი	Pg ₂	10	ძლიერ და ზომიერადგამოფიტული მოყვითალო-ყავისფერი სუსტი და ზომიერად სუსტი ქვიშაქვები და არგილიტები
	Pg ₂	11	სუსტადგამოფიტული მოყავისფრო-ნაცრისფერი და მომწვანო-ნაცრისფერი, ზომიერად მტკიცე და მტკიცე, საშუალო და ტლანქშრებრივი, პოლიმიქტური და ტუფოგენური ქვიშაქვები
	pg ₃ N ₂ S _c	12	მოშავო მუქი ნაცრისფერი თხელშრებრივი სუსტი და ზომიერად სუსტი, სუსტად გამოფიტული არგილიტებიალევროლითებისა და ქვიშაქვების თხელი (2-5მმ) შუაშრებით

5.2.3. გრუნტებისა და კლდოვანი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა ნორმატიული მნიშვნელობები

საპროექტო გზის მონაკვეთის ზოლში გამოვლენილი გრუნტებისა და კლდოვანი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებელთა ნორმატიული მნიშვნელობები მოცემულია ქვემოთ, კრებსითი ცხრილის სახით. მახასიათებელთა ნორმატიული სიდიდეები განსაზღვრულია იმ მონაცემთა ბაზაზე, რომელიც ზემოთ, თითოეული ფენისა და დასტის დახასიათებაშია მოყვანილი. ამავე დროს, გრუნტების ფენების მექანიკური თვისებების პარამეტრთა ზოგი სიდიდე (მათ შორის შინაგანი ხახუნის კუთხე- ϕ , შეჭიდულობა- C , დეფორმაციის მოდული- E_0 და დრეკადობის მოდული- E , აგრეთვე პირობითი წინააღმდეგობა- R_0) განსაზღვრულია ლაბორატორიული კვლევით მიღებული ფიზიკური თვისებების პარამეტრთა სიდიდეების მიხედვით, სათანადო ნორმატიული ბაზის შესაბამისად.

ცხრილი 5.44: გრუნტების ფენების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების პარამეტრების ნორმატიული მნიშვნელობები.

გრუნტის ფენის №	გრუნტების აღწერა (<u> </u> -ისმიხედვით) (BS-ისმიხედვით)	სიმკვრივე, ρ გ/სმ ³	ფორიანობის კოეფიციენტი, e	დენალობის მახვევებელი, λ	შინაგანი ხახუნის კუთხე, ϕ°	შეჭიდულობა, C მპა	დეფორმაციის მოდული, E_{0} მპა	დრეკადობის მოდული, E მპა	პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობა, R_0 მპა	გრუნტების ჯგუფი, СНИП-IV-5	დასაშვები ქანობი
1	ხრეში ქვიშის შემავსებლით ქვიშოვანი ხრეში	1.75	-	-	-	-	-	-	-	6 ^a	1:1.5
2	თიხა მუქი-ნაცრისფერი-მოშავო, მაგარი და ნახევრადმაგარი, კენჭებისა და სამშენებლო - საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცველობით	1.95	-	-0.41	-	-	-	-	-	8 ^b	1:1.5
2	ტენიანი მუქი-ნაცრისფერი-მოშავო მტროვანი, სუსტად ქვიშიანი, მცირედ ხრეშიანი, ძლიერ ხისტი და ხისტი საშუალო პლასტიკურითიხა, კენჭებისა და სამშენებლო - საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცველობით										
3	ღორღი და ხვინჯა ქვიშნარის შემავსებლით, ღოდების ჩანართებით და სამშენებლო ნარჩენების შემცველობით, მცირედ ტენიანი	2.00	-	-1.37	-	-	-	-	-	6 ^a	1:1.5

გრუნტის ფენის №	გრუნტების აღწერა (<u> </u> -ისმიხედვით) (BS-ისმიხედვით)	სიმკვრივე, ρგ/სმ ³	ფორიანობის კოეფიციენტი, e	დენალობისმაჩვენებელი, I _p	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	შეჭიდულობა, C _{მპა}	დეფორმაციისმიმდევლი, E _{მპა}	დრეკადობისმიმდევლი, E _{დრ} , მპა	პირობითი საანგარიშო წინაღობა, R ₀ , მპა	გრუნტების ჯგუფი, СНИП-IV-5	დასაშვები კანობი
	მცირედ ტენიანი, სუსტად ქვიშიანი და კუთხული ხრეში, დაბალ პლასტიკური ქვიშიანი თიხისშემავსებლით, დაკუთხულიკაჭარის ჩანართებით და სამშენებლო ნარჩენების შემცველობით										
4	თიხა ყავისფერი, მაგარი, ხრეშის და კენჭების შემცველობით	1.95	0.702	-1.47	17.31	0.05	-	60.0	0.3	8 ^b	1:1.5
	სუტადტენიანი, ყავისფერი, მტვროვანი, სუსტადქვიშიანი ხისტი, საშუალოდა დაბალპლასტიკური თიხა, ხრეშის და კენჭების შემცველობით										
5	თიხნარიყავისფერი რბილპლასტიკური, ხრეშის10%-მდე ჩანართებით	1.94	0.813	0.55	16.5	0.017	9.0	30.0	0.1	33 ^b	1:1.5
	ძლიერ ტენიანი, ყავისფერი, ძალიან რბილი დაბალპლასტიკური თიხა მომრგვალებული ხრეშის ჩანართებით										
6	ქვიშა მტვროვანი, ნაცრისფერი, ფხვიერი, ტენიანი	1.60	-	-	34	0.006	23.0	100	0.1	27 ^a	1:1.5
	ტენიანი, ნაცრისფერი, ფხვიერი მტვროვანიქვიშა										
7	კენჭნარი ქვიშისშემავსებლითდა კაჭარის ჩანართებით10%-მდე, წყალგაჯერებული, ფხვიერი	2.00	-	-	40	0.01	48.0	37.0	0.4	6 ^v	1:1.5
	წყალგაჯერებული ფხვიერი, ქვიშიანი მომრგვალებულისხრეში, მომრგვალებული კენჭისა და კაჭარის ჩანართებით										
8	ხრეშოვანი გრუნტი, კენჭების ჩანართებით, ქვიშის შემავსებლით, ტენიანი	1.80	-	-	35	0.003	40	300	0.4	6 ^v	1:1.5
	სუსტადტენიანი, ღია ყავისფერი, ძლიერ მკვრივი, სუსტადქვიშიანი, მტვროვანი მომრგვალებულისხრეში კენჭების ჩანართებით										
9	თიხანაცრისფერი დამოყავისფრო-ნაცრისფერი, თხელშრეებრივი, მაგარი	1.94	0.797	-	22	0.08	19.5	50	0.3	8	1:1.5

ჯგუფი	პირობითი აღნიშვნა და გეოლოგიური ინდექსი	გრუნტის ფენის №	გრუნტების აღწერა (-ისმიხედვით)	სიმკვრივე, ρგ/სმ ³	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	შეჭიდულობა, Cკპა	დეფორმაციისმოდული, E _დ კპა	დრეკადობისმოდული, E _{დრ} კპა	ქანების სიმტკიცის ზღვარი, R _c მპა	გრუნტების ჯგუფი, СНИП-IV-5	დასაშვები ქანობი
			დამცირე სიმტკიცის, ალევრო-ლითებისა და ქვიშაქვების თხელი (2-5მმ) შუა შრეებით								

5.2.4. გარემოს აგრესიულობა ბეტონების მიმართ

გააქოდა გრუნტის წყლებისა და გრუნტის ქიმიური ანალიზები და შეფასდა გარემოს აგრესიულობის ხარისხი ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციებისადმი. გამოკვლევის შედეგები მოცემულია მე-4 დანართში.

BP-15 ჭაბურღილიდან აღებული გრუნტის წყლის ანალიზების მიხედვით, SO₄-ის შემცველობა წყალში არის 0.17% , რომელიც არ ახდენს უკიდურეს ზეგავლენას ბეტონის მიმართ აგრესიულობაზე, ვინაიდან სულფატ იონის კონცენტრაცია 1500მგ/ლიტრზე ნაკლებია როგორც ნაჩვენებია მე-4 დანართში.

შხვადასხვა ჭაბურღილებიდან აღებული გრუნტის ნიმუშების ქიმიური ანალიზის მიხედვით გარდა BP-15-სა, გარემო არ ავლენს აგრესიულ თვისებებს არცერთი ქიმიური კომპონენტის მიხედვით, ნებისმიერ ცემენტზე დამზადებული არცერთი მარკის ბეტონის მიმართ (იხ. მე-4 დანართში).

5.3 საპროექტო გზის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

5.3.1 გზის მონაკვეთი კმ4-დან კმ5-მდე

რელიეფური პირობები და გეოლოგიური აგებულება

გზის კმ4-დან კმ5-მდე მონაკვეთის განლაგების ტერიტორია ეომორფოლოგიურად თელეთის ქედის უკიდურესი აღმოსავლეთი დაბლობების ერდობს წარმოადგენს, რომელზეც ზოგან მდ. ტკვრის ტერასების მცირე ფრაგმენტებია შერჩენილი. ზის შემადგელება ამ მონაკვეთის ფარგლებში მდ. ტკვრის დონიდან 30-33მ-ს აღწევს. ერდობი გზის ზემოთ ცვალებადი

დახრილობისაა და ზოგან საკმაოდ ციცაბოა.

ტრასის მოცემულ მონაკვეთზე გაიბურღა 4 ჭაბურღილი(CB-1, CB-2, UB-1 და UB-2) და გაკეთდა 3 ვეზი(CSS-8, CSS-9 და CSS-10). ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები მოცემულია დანართ-4-ში. ტრასის ამ მონაკვეთის ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს პალეოგენური (ეოცენი-Pგ2) მტკიცე, სქელშრებრივი ქვიშაქვები დასტა-11), რომელთა ზედაპირული ნაწილი სისქით 0.5-3.5მ გამოფიტულია (დასტა-10). კლდოვანქანებზე განლაგებულია ფერდობის დელუვიურ-პროდუვიური თიხები(ფენა-4) და ალუვიური ხრეშოვანი გრუნტები (ფენა-8), აგრეთვე სხვადასხვა შედგენილობის ტექნოგენური წარმონაქმნები (ფენა-1, ფენა-2 და ფენა-3).

ჭაბურღილები და გრუნტების ფენები გრაფიკულად ასახულია საპროექტო ტრასის გრძივ და განივ საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილებზე (ანგარიშის გრაფიკული ნაწილი, ნახ. №GC-1324-2 და №GC-1324-3 იხ. დანართ 5-ში).

გეოდინამიკური პირობები

ფერდობზე ვიზუალური დათვალიერებით მეწყერი ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი გეოდინამიკური მოვლენა არ არის დაფიქსირებული. მასზე განვითარებულია ძველი ეროზიული ხრამები, რომელთა გასწვრივ არ გამოირიცხება წყლის ნაკადების ფორმირება დიდი წვიმების დროს.

გრუნტისწყლები

ტრასის ამ მონაკვეთის ფარგლებში (კვ25-კვ 40) გამოკვლეულ სიღრმემდე ჭაბურღილებში გრუნტის წყალი არ არის გამოვლენილი. რუნტის წყალი არ არის დაფიქსირებული არც ზედაპირზე მისი გამოსავლის (წყაროს) სახით.

5.3.2 გზის მონაკვეთი კმ5-დან კმ7+500-მდე

რელიეფური პირობები და გეოლოგიური აგებულება

კმ 5-დან კმ 7+500-მდე საპროექტო გზა გადის მდ. მტკვრის II ჭაღის ზედა ტერასისა და მისი კალაპოტის საკონტაქტო ზოლში, ე.წ. ფონიჭაღის დასახლების აღმოსავლეთი კიდის გასწვრივ. ზის ვაკის ზოგ უბანზე წარმოდგენს ჭრილი, ხოლო ზოგ უბანზე ყრილი. რილი ზოგან მდ. მტკვრის ამ უამინდელი ჭაღის (კალაპოტის) ნაწილს იკავებს, სადაც მის დასაცავად ეწყობა კედლები. თერასის ზედაპირი მოვაკებულია, მდინარის დონიდან მისი სიმაღლე 8 მეტრამდეა და მთლიანად დასახლებულია.

ტრასის ამ უბანზე გაიბურღა 4 ჭაბურღილი (HB-9, HB-12, HB-13 და BP-14) გაყვანილია 1 შურფი(HTP-10) და შესრულებულია ელექტროზონდირება 4 წერტილში (HVES-9, HVES-10, HVES-12 და BPVES-14), ჭაბურღილებთან და შურფთან ერთად. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები მოცემულია დანართ-4-ში. ტრასისამ უბნის უმეტესი ნაწილის ლითოლოგიურ აგებულებაში

მონაწილეობს მხოლოდ ბოლომინაკვეთის(კმ7+100-კმ7+500)საფუძველსწარმოადგენსზედა ასევე შუაპალეოგენური (Pg₂) მტკიცე ქვიშაქვები(დასტა-11), პალეოგენურ-ქვედანეოგენური (Pg₂-N) არგილიტების წყება(დასტა-12). ქანების

ზედაპირული ნაწილი სისქით 0.5-1მ გამოფიტულია (დასტა-10). აღნიშნული ფენები და დასტები ზევიდან გადაფარულია ცვალებადი სისქის ტექნოგენური და ბუნებრივი დანალექი დელუვიურ-პროლუვიური და ალუვიური წარმონაქმნებით (ფენები2,3,4,6,8).

ჭაბურღილები და გრუნტების ფენები გრაფიკულად ასახულია საპროექტო ტრასის გრძივ და განივ საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილებზე (ნახაზები№GC-1324-2 და №GC-1324-3მოცემულია მე-5 დანართში).

გეოდინამიკურიპირობები

გეოდინამიკური თვალსაზრისით კმ 5-დანკმ 7+500-მდე საპროექტო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. ტკვრის კალაპოტთან სიახლოვე, რამაც შესაძლოა წყალდიდობების დროს უარყოფითი გავლენა იქონიოს ნაგებობათა მდგრადობაზე. მდ. ტკვრის წყალდიდობასთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებული უნდა შესაბამისი ჰიდროგეოლოგიურ-ჰიდრაულიკური გაანგარიშებით. სხვა რაიმე ხელისშემშლელი გეოდინამიკური მოვლენა ტრასის ამ უბნის ფარგლებში გამოვლენილი არ არის.

გრუნტის წყლები

ტრასის ამ უბნის ფარგლებში გრუნტის წყალი დაფიქსირდა მის ბოლო მონაკვეთზე, HB-13 დაBP-15 ჭაბურღილებში, შესაბამისად 1.6 და 5.5მ. სიღრმეებზე. წყალშემცველია ალუვიური სრეშოვანი გრუნტი (ფენა-8), რომლის სისქე აქ საშუალოდ 2-2.5 მეტრია. გრუნტის წყლის დონის მნიშვნელოვანი აწევა მოსალოდნელი არ არის.

5.3.3 გზის მონაკვეთი კმ7+500-დან 9+500-მდე

დელიეფური პირობები და გეოლოგიური აგებულება

კმ 7+500-დან კმ 9+500-მდე გზა გადის სოღანღულის დასახლებაში, მტკვრის II ჭალისზედა ტერასის მცირედ ტალღოვან მოვაკებაზე. ტერასის ზედაპირი მტკვრის დონეზე 7-8 მ-ით მაღლაა, საერთო დახრილობით სამხრეთ-აღმოსავლეთის, ანუ მდ. ტკვრის მიმართულებით. ტერასა აქ მკვეთრად ფართოვდება და საპროექტო გზაც მნიშვნელოვნადაა დაცილებული მდინარიდან. ტერასის რელიეფი ამ ფარგლებში მოვაკებულია, მცირედ ტალღოვანი, საერთო

დახრილობით.

ტრასის ამ უბანზე გაიბურდა 2 ჭაბურღილი (BP-15 და BP-16). ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები მოცემულია დანართ-4-ში. ტრასის ამ უბნის ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ზედა პალეოგენურ-ქვედანეოგენური (Pg₂-N) არგილიტების წყება (დასტა-12). ქანების ზედაპირული ნაწილი სისქით 1.5მ-მდე გამოფიტულია (დასტა-10). ძირითადი კლდოვანი ქანები ზევიდან გადაფარულია ალუვიური ხრეშოვანი (ფენა-8) და დელუვიურ-პროლუვიური თიხოვანი (ფენა-4) გრუნტებით.

ჭაბურღილები და გრუნტების ფენები გრაფიკულად ასახულია საპროექტო თრასის გრძივ და განივ საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილებზე (ნახაზები №GC-1324-2 და №GC-1324-3 მოცემულია მე-5 დანართში).

გეოდინამიკური პირობები

ვიზუალური დათვალიერებით, ტრასის ამ მონაკვეთზე არ აღინიშნება გზის მშენებლობის ან ექსპლუატაციისათვის ხელისშემშლელი რაიმე მნიშვნელოვანი გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა ან პროცესი. საჭიროა მხოლოდ ზედაპირული წყლების რეგულაცია მიკრორელიეფური პირობების გათვალისწინებით.

გრუნტის წყლები

ტრასის ამ უბნის ფარგლებში გრუნტის წყალი დაფიქსირდა ორივე (BP-15 და BP-16) ჭაბურღილში, შესაბამისად 5.5 და 7.0მ. სიღრმეებზე. წყალშემცველია ალუვიური ხრეშოვანი გრუნტი (ფენა-8), რომლის სისქე აქ საშუალოდ 2.3-2.5მეტრია. გრუნტის წყლის დონის მნიშვნელოვანი აწევა მოსალოდნელი არ არის.

5.3.4 გზის მონაკვეთი კმ9+500-დან 10+760-მდე

ზის მონაკვეთი კმ9+500-დან 10+760-მდე განლაგებულია ე. წ. წალასყურის ვაკის აღმოსავლეთ კიდეზე, რომელიც, გეომორფოლოგიურად, მდ. მტკვრის ჭაღის ზედა I ტერასას წარმოადგენს. წალასყურის ვაკე წარმოქმნილია მდ. ტკვრის ხეობის ფორმირების გარკვეულ ეტაპზე, განლაგებულია თელეთის ქედის სამხრეთ ფერდობსა და იაღლუჯის მთის ჩრდილოეთ ფერდობს შორის და ხასიათდება კარგად მოვაკებული ზედაპირით. თბილისი რუსთავის ამჟამად მოქმედი გზის მონაკვეთი ამ ვაკის ფარგლებში, სწორია როგორც გეგმაში, ასევე გრძივ პროფილში. ვაკის მიკრო რელიეფში შეინიშნება მხოლოდ მცირეხელოვნური უსწორმასწორობები, მათ შორის წყალსადენი არხი და სხვა.

ტრასის ამ მონაკვეთზე გაიბურდა 1 ჭაბურღილი (BP-17). ჭაბურღილის ლითოლოგიური სვეტი მოცემულია დანართ-4-ში. ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ზედა პალეოგენურ-ქვედანეოგენური (Pg₂-N) არგილიტებისა და თიხების წყებები (დასტა-9 და დასტა-12). ძირითადი ქანები ზევიდან გადაფარულია ალუვიური ხრეშოვანი (ფენა-8) და დელუვიურ-პროლუვიური თიხოვანი (ფენა-4 და ფენა-5) წარმონაქმნებით.

ჭაბურღილები და გრუნტების ფენები გრაფიკულად ასახულია საპროექტო ტრასის გრძივ და განივ საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილებზე (ნახაზები № ჩ-1324-2 და № ჩ-1324-3 მოცემულია მე-5 დანართში).

გეოდინამიკური პირობები

ვიზუალური დათვალიერებით, ტრასის ამ მონაკვეთზე არ აღინიშნება გზის მშენებლობის ან ექსპლუატაციისათვის ხელისშემშლელი რაიმე მნიშვნელოვანი გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა ან პროცესი. საჭიროა მხოლოდ ზედაპირული წყლების რეგულაცია მიკრორელიეფური პირობების გათვალისწინებით.

გრუნტისწყლები

ტრასის ამ მონაკვეთის ფარგლებში გრუნტის წყლის დონე დაფიქსირდა BP-17 ჭაბურღილში, 2.45მ სიღრმეზე. წყალშემცველია ალუვიური კენჭნარების ფენა, რომლის სისქე შეადგენს 7.2 მეტრს. გრუნტის წყლის დონის მნიშვნელოვანი აწევა მოსალოდნელი არ არის.

5.4 დასკვნები და რეკომენდაციები

1. გეომორფოლოგიურად საპროექტო გზის განლაგების ტერიტორია მტკვრის ხეობის ფსკერულ ნაწილს წარმოადგენს. ტრასის საწყისი მონაკვეთი კმ4-დანკმ5-მდე თელეთის ქედის აღმოსავლეთი ფერდობის ძირს მიუყვება. კმ 5-დან კმ 7+500-მდე საპროექტო გზა გადი სმდ. ტკვრის II ჭალის ზედა ტერასის ადამისი კალაპოტის საკონტაქტო ზოლში, კმ7+500-დან კმ 9+500-მდე გადის სოღანლუღის დასახლებაში, მტკვრის იმავე (II) ჭალის ზედა ტერასის ზედაპირზე, ხოლო კმ 9+500-ის შემდეგ კმ 10+760-მდე განლაგებულია ე.წ. წალასყურისვაკის აღმოსავლეთ კიდეზე, რომელიც, გეომორფოლოგიურად მდ. მტკვრის ჭალისზედა I ტერასას წარმოადგენს;
2. კლიმატური პირობების მიხედვით რაიონი, რომელშიც შედის საპროექტო ტერიტორია, საქართველოს სამშენებლო კლიმატოლოგიური ნორმების (პნ 01.05-08) მიხედვით მიეკუთვნება III გ ქვერაიონს;
3. გეოლოგიურად ტერიტორია წამოდგენილია ზედა ეოცენის (Pg_2^3), ოლიგოცენისა (Pg_3) და ქვედა მიოცენის (N_1^1) ქანებით, - ქვიშაქვებით, შრეებრივი, მაგარი კონსისტენციის თიხებით, არგილიტებითა და ალევროლიტებით. ანების წყებები ზევიდან გადაფარულია სხვადასხვა გენეზისის მეოთხეული გრუნტების ცვალებადი სისქის ფენებით, მათ შორის ხელოვნური ნაყარი გრუნტებით, დელუვიურ-პროლუვიური თიხოვანი გრუნტებით და ალუვიური ხრეშოვანი და თიხოვანი ნალექებით;
4. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევების შედეგად გზის განლაგების ზოლში გამოვლენილია არა კლდოვანი გრუნტების 9 ფენა და კლდოვანი ქანების 3 დასტა. რუნტებისა და ქანების ლითოლოგიური

სახესხვაობების შედგენილობა, მდგომარეობა და თვისებები გამოკვლეულია ჭაბურღილებიდან აღებული ნიმუშებით. გზის სხვადასხვა მონაკვეთზე მისი უშუალო საფუძველი იქნება როგორც ხელოვნური ნაყარი, ასევე ბუნებრივი თიხოვანი და ხრეშოვანი გრუნტები. საპროექტო გზის ორ მონაკვეთზე, კმ7+100მ-დან კმ7+350-მდე დაკმ9+700-დან კმ10+250- მდე გამოვლენილია სუსტი თიხოვანი გრუნტების ფენა(ფენა-5), სადაც საჭირო იქნება გზის ყრილის ჯდენის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. ნაგებობათა საპროექტო გაანგარიშებებისათვის გამოყენებული უნდა იქნას გრუნტების ფენებისა და კლდოვანი ქანების დასტების თვისებების მახასიათებელთა ის მნიშვნელობები, რომლებიც ცხრილ 2.3.1- შია მოყვანილი;

5. გეოტექნიკური თვალსაზრისით გზის განლაგების ზოლში არ აღინიშნება მისი მშენებლობის ან ექსპლუატაციისათვის ხელისშემშლელი რაიმე მნიშვნელოვანი გეოტექნიკური პროცესები, გარდაიშისა, რომ მონაკვეთი, რომელიც განლაგებული მდ. მტკვრის კალაპოტის სიახლოვეს, დაცული უნდა იქნას მდინარის ეროზიული მოქმედებისაგან, განსაკუთრებით წყალდიდობების დროს. შანაპირო (დამცავი) კედლები უნდა დაემყაროს სუსტად გამოფიტულ ან გამოუფიტავ ძირითად კლდოვან ქანებს. პროექტით გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე დროებითი და სხვა ზედაპირული წყლის დარეგულირების ღონისძიებები, ტრასის ზოლში.
6. ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით გრუნტის წყლებს შეიცავს ძირითად ქანებზე განლაგებულია ლუვიური ხრეშოვანი გრუნტები. გრუნტის წყლები არ იქნება მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის;
7. ჩატარებული ქიმიური კვლევების მიხედვით, გრუნტები და გრუნტის წყლები სხვადასხვა მონაკვეთზე ავლენენ სხვადასხვა ხარისხის სულფატურ აგრესიას ბეტონებისადმი. ლორიდების შემცველობის მიხედვით, გრუნტის წყლები აგრესიულია ბეტონის არმატურისადმი მისი პერიოდული დასველების შემთხვევაში და არ არის აგრესიული მუდმივად წყალში ყოფნის პირობებში.
8. საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის კნ01.01-09- „სეისმომდებელი მშენებლობა“ მიხედვით, საპროექტო გზის განლაგების ტერიტორია მდებარეობს MSK64სკალით 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში, მაქსიმალური კორიზონტალური აჩქარების (სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტის– A) მნიშვნელობით: ქ. თბილისში-0.17; ქ. რუსთავში-0.12.

6. საპროექტო პარამეტრები

6.1 გამოყენებული სტანდარტები

თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის (მონაკვეთი 2) მოდერნიზაციის პროექტისათვის გამოყენებულია ქართული სტანდარტი SST (სსტ) გზები: 2009, TEM სტანდარტი და AASHTO სტანდარტი, სხვადასხვა საპროექტო-კონსტრუქციული ნიმუშებთან ერთად.

ცხრილი-6.1 გამოყენებული სტანდარტები

№.	აღწერა	გამოყენება	შენიშვნა
1	საპროექტო პარამეტრები (ძირითადი გზა და საგზაო კვანძი)	TEM სტანდარტი და რეკომენდირებული ინსტრუქციები (მე-3 გამოშვება, თებერვალი 2002)	
2	ნაგებობა (ხიდი, გვირაბი და საფეხმავლო ხიდი)	AASHTO LRFD ხიდის პროექტის სპეციფიკაციები (მე-4 გამოშვება, 2007)	
3	დრენაჟის პროექტი	ქართული სტანდარტი SST (სსტ) გზები 2009, SNIP (რუსული ინდუსტრიული სტანდარტი) 2.05.03-84. დადგენის თარიღი იანვარი 1, 1986.	
4	უსაფრთხოების პროექტი	ქართული სტანდარტი SST (სსტ) გზები 2009, გზები ძირითადი მიმოსვლისათვის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები SST 72:2009 (February 9, 2009).	
5	მილსადენი	ქართული სტანდარტი (SST (სსტ) გზები 2009) SNIP (რუსული ინდუსტრიული სტანდარტი) 2.05.03-84. იანვარი 1, 1986	

სხვადასხვა ნიმუშებისა და სტანდარტების გამოყენება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს ეროვნული სტანდარტები არ არის ამომწურავი და არ შეიცავს ყველა საჭირო ნიმუშსა და წესდებს და ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია.

პროექტი ითვალისწინებს 4 ზოლიანი გზის მშენებლობას (გარდა 0.9 კმ-იანი მონაკვეთისა Sta.4+000~4+900-დან).

მე-2 მონაკვეთის საწყისი მონაკვეთი Sta.4+000-დან Sta.4+900-მდე არის 1-მონაკვეთთან დამაკავშირებელი ნაწილი (შედგება 6 ზოლისაგან საერთო

სიგანიო34.5) სადაც, Sta. 4+620-ზე დაგეგმილია გვირაბის ტიპის გზაგამტარის მოწყობა მარნეულის გზატკეცილის არსებულ გზასთან დასაკავშირებლად. მონაკვეთი 2-თვის მიღებულია შემდეგი ტექნიკური პარამეტრები:

- საანგარიშო სიჩქარე:120 კმ/სთ;
- მაქსიმალური გრძივი ქანობი: -3.98%;
- ამონექის ვერტიკალური მრუდის მინიმალური ცვალებადობის კოეფიციენტი (მ/%) $K=150$
- ჩაზნექის ვერტიკალური მრუდის მინიმალური ცვალებადობის კოეფიციენტი (მ/%) $K=85$
- განივი ქანობი- 2%;

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი გზისა და გზაგამტარისათვის გამოყენებულია ზემოთ მოცემული პარამეტრები და სტანდარტები, პროექტში ერთი გამონაკლისი იქნა დაშვებული Sta.8+300-ზე, სადაც განაპირა გზის№2 გვერდითი გზის გრძივ პროფილიზე გამოყენებულ იქნა 13.5%-იანი ქანობი იმისათვის, რომ მაქსიმალურად შემცირებულიყო ზემოქმედება მიმდებარე სახლებზე ვინაიდან არსებული გზის სიგანე 3~4მ-ია და მოძრაობს მოცულობა ძალზედ მცირეა. გრძივი პროფილის 8%-იანი ქანობის გამოყენების შემთხვევაში ჩნდებოდა 3 სახლის დემონტაჟის აუცილებლობა.

6.2 გზატკეცილი


მე-2 მონაკვეთი არის თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის (საპროექტო გზის) შუა შემადგენელი კომპონენტი და დაპროექტებულია 1-ლი და მე-3 მონაკვეთების დამაკავშირებლად, აგრეთვე მე-2 მონაკვეთი წარმოადგენს მდინარე მტკვრის გასწვრივ გავლის/მოხვედრის საშუალებას, რომელიც გამოყენებულ იქნება ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ რომლებიც ცხოვრობენ Sta.8+000დანSta.9+700 მდე.

მე-2 მონაკვეთის 4 სახის ტიპური განივიკვეთები

გამოსახულება 6.1: მე-2 მონაკვეთის ტიპური განივი კვეთები


(1) საწყისი მონაკვეთი დამაკავშირებელი 1 მონაკვეთთან საერთო სიგანიო 34.5~32.5მ შედგება 6 ზოლისაგან.

საწყისი მონაკვეთი(6ზოლი), STA.4+000~4+420(L=0.42კმ)




(2) სანაპირო ზოლის მონაკვეთი მდებარეობს მდინარე მტკვრის მახლობლად.

სანაპირო ზოლი (4 ზოლი), STA.4+420~6+760(L=2.34კმ)




(3) განაპირა გზები გათვალისწინებულია ადგილობრივ მაცხოვრებელთათვის

დასახლებული ზონა (4 ზოლი), განაპირა გზა (4 ზოლი), 8+220~9+600(1.38 კმ)



(4) ბოლო მონაკვეთი დამაკავშირებელი მე-3 მონაკვეთთან საერთო სიგანით 26.5~28.5მ შედგება 4 ზოლისაგან

ბოლო მონაკვეთი (4 ლანეს), STA.9+600~10+755(1.16კმ)



გეოტექნიკური კვლევებისა და შესაბამისი ლაბორატორიული ტესტების თანახმად გზატკეცილის პროექტისათვის შერჩეული ყრილებისა და ჭრილების ქანობები შესაბამება -ის სტანდარტებს.

შერჩეული ყრილის ქანობა 1:1.5.

შერჩეული ჭრილის ქანობა 1:1, კლდოვანგრუნტში - 1:0.5.

ამ მხრივ გეოტექნიკური კვლევები და შესაბამისი ლაბორატორიული ტესტირება ჩატარებული ქ. თბილისი-წითელი ხიდის გზის თბილისი-რუსთავის (მე-2 მონაკვეთი) მონაკვეთის მოდერნიზაციის ფარგლებში

პროექტის ფარგლებში გრუნტის ფიზიკური და მექანიკური თვისებებისათვის სტანდარტული ღირებულებანი ნაანგარიშები და განსაზღვრულია ლაბორატორიული ტესტებით მიღებულ ფიზიკური თვისებების პარამეტრებთან შეთანხმებაში რომლებიც შესაბამება -ის სტანდარტებს (იხ. ჩხრილი 5.44 გრუნტების ფენების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების პარამეტრების ნორმატიული მნიშვნელობები). განსაზღვრული ფიზიკური და მექანიკური თვისებები ცალკეული ადგილმდებარეობისათვის ნაჩვენებია მე-5 დანართში

მთავარი ზოლების, გამაგრებული გვერდულებისა და გზისპირების სიგანეები ნაჩვენებია ცხრილში 6.1, გზაჯვარედინებზე და მიერთებებზე მოსაწყობი აჩქარება-დამუხრუჭების ზოლების სიგანეები ნაჩვენებია სატენდერო დოკუმენტაციებში ტომი IV-II-მიერთებები, იმისათვის რომ შენარჩუნებული ქნას სასურველი მომსახურების დონე

გზატკეცილის მოწყობამდე პროექტით გათვალისწინებულია არსებული ასფალტობეტონის საფარის მოფრეზვა.

მიწის სამუშაოთა მოცულობა დათვლილია დაპროექტებული განივი პროფილების მიხედვით, განსაზღვრული სამუშაოთა მოცულობები ცალკეული პუნქტებისათვის ზუსტად არის განსაზღვრული სამუშაოთა განაწილების ცხრილში რომელიც ნაჩვენებია დამატებითი ინფორმაციის წიგნებში, წიგნი 2-1 და წიგნი 2-2.

მიწის სამუშაოების მოცულობები კილომეტრებისა და შენების პროცესის მიხედვით ნაჩვენებია მიწის სამუშაოების განაწილების ცხრილში კილომეტრების მიხედვით.

გრუნტის ზედა ფენის მოფრეზვა და მოსწორება ყრილებზე და ბალახის დათესვა უნდა განხორციელდეს წინამდებარე პროექტის მიხედვით.

7. ბრძოვი პროფილი

7.1 გრძივი პროფილის საერთო წარმოდგენა

გრძივი ნახაზის პროექტირებისას გამოყენებულ იქნა TEM სტანდარტების შესაბამისი პროექტირების პარამეტრები რომლებიც გამომდინარეობდა ადგილობრივი ტოპოგრაფიით, გეოლოგიური მდგომარეობით და გზის საფარის სტრუქტურით.

მე-2 მონაკვეთი: ფონიჭალა-რუსთავის მონაკვეთს აქვს 6.8კმ-ის სიგრძის გზის ხაზი აღნიშნულ პროექტზე. პროექტის თბილისი-ფონიჭალის მონაკვეთის გზის ხაზი მთლიანად მდებარეობს ისანი-სამგორის რაიონში, საპროექტო გზის 5კმ-იანი მონაკვეთითხვევა არსებული გზის ხაზსდა საპროექტო გზის 3.8 კმ ახლად იქნება აშენებული მდ. ტკვრის გასწვრივ.

1) ძირითადი საკონტროლო საკითხებია: მდ. მტკვარი, გავლის მეთოდი დასახლებულ ადგილებში და არსებული რკინიგზა (Sta. 4+000~5+100)

მეორე მონაკვეთის საწყისი წერტილი მოიაზრება როგორც პირველი და მეორე მონაკვეთების დამაკავშირებელ წერტილად, აგრეთვე დამაკავშირებელ წერტილად მარნეულის ავტომაგისტრალთან და გავლის მეთოდად არსებულ რკინიგზასთან მიმართებაში, ასე რომ, აღნიშნული საკონტროლო წერტილების გამო გამოყენებულ იქნება $S=3.98\%$ ქანობი.

2) გავლის მეთოდი მტკვრის სანაპიროზე (Sta. 5+100~6+800)

დინარის მონაკვეთის გრძივი ჭრილი დაპროექტებულია წყლის მაქსიმალური დონეზე მაღლად, ჰიდროლოგიური ანალიზების საფუძველზე. სივრცე ნაკლიანი წერტილის წყობის ამალღებასა და მდინარე მტკვარის წყლის მაქსიმალურ დონეს შორის, ცალმხრივი კედლის შემთხვევაში მოსალოდნელია იყოს $H=1.24$ მ.

- ნაკლიანი წერტილი: პუნქტი 5-120, EL=371.34მ
- მდინარე მტკვარის მაქსიმალური წყლის დონე: №4 (პუნქტი 5-120) EL=370.10მ.

3) დაუსახლებელ პუნქტებსა და არსებულ გზასთან გასვლის მეთოდი 7+510 (Sta. 6+800~8+100) ნიშნულზე.

არსებული გზა, რომელიც მდებარეობს sta. 7+510 პუნქტზე არის ძირითადი საკონტროლო წერტილი დაუსახლებელ პუნქტების გასაველად. გზა დაპროექტებულია ყრილის ტიპით, დაახლოვებით $H=7$ მ-ზე რადგან და გაიაროს არსებულ გზაზე ზემოდან.

4) დასახლებული პუნქტის გავლისა და 3-ემონაკვეთთან დამაკავშირებელი მონაკვეთი Sta. 8+100~10+733

გზის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სახლების რაოდენობის

შემცირების ასპექტი არის მთავარი საკონტროლო წერტილი. ამ მიზეზით გრძივი გეგმა დაპროექტებულია არსებული გზის მსგავს დონეზე.

7.2 პროექტის გრძივი პროფილის წარმოდგენა.

ტექნიკური პარამეტრები, მიღებული მე-2 მონაკვეთისათვის არის შემგომი:

ცხრილი 7.1: მე-2 მონაკვეთის გრძივი პროფილის განსაზღვრული პარამეტრები.

განაწილება	ერთეული	ძირითადი გზა		სატრანსპორტოკვანძი		ტექ.დაფ.	შენიშვნა
		სტანდარტის მინიმალური მნიშვნელობა	გამოყენებული მნიშვნელობა	სტანდარტის მინიმალური მნიშვნელობა	გამოყენებული მნიშვნელობა		
მაქსიმალური გრძივი ქანობი	%	4	3.98	7	6.88	4	
ამონეკილი ვერტიკალური მოსახვევების მინიმალური რადიუსი	მ	12000	15000	800	845	15000	
ჩაზნეკილი ვერტიკალური მოსახვევების მინიმალური რადიუსი	მ	5000	8500	400	451	5000	

მხედველობის არეალი ექვივალენტური დამუხრუჭების მანძილისა უზრუნველყოფილია სრულ საპროექტო მონაკვეთზე. მხედველობის არეალი TEM-ის სტანდარტების მიხედვით ტოლია 200-მ-ის, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო სიჩქარე არის 120კმ/სთ.

8. გზის საფარის კონსტრუქცია

8.1 შესავალი

ზოგადად, მტკიცე საფარს გააჩნია გარკვეული უპირატესობები არამტკიცე საფართან შედარებით. თუმცა, ფონიჭალის ტერიტორიისათვის შერჩეულია არამტკიცე საფარი იმ მიზნით, რომ შემცირდეს ხმაური. ამრიგად, მონაკვეთი 2-თვის შერჩეულია არამტკიცე გზის საფარი.

გზის საფარის პროექტირებისას კონსულტანტმა გამოიყენა “გზამკველვი გზის საფარის კონსტრუქციის პროექტირებისთვის (AASHTO)” რათა შერჩეულიყო ოპტიმალური გზის საფარის მიმართულება და დაზუსტებულიყო საფარის სისქის შესაბამისობა.

8.2. გზის საფარის პროექტი

8.2.1. ექვივალენტური ღერძული დატვირთვის დაანგარიშებები

საფარის დაპროექტება მოხდა შემდეგი პროგნოზირებული სატრანსპორტო მიმოსვლის მონაცემების საფუძველზე თითოეულ მონაკვეთზე:

ცხრილი 8.1 პროგნოზირებული მიმოსვლის მოცულობა მე-2 მონაკვეთისათვის

როგნოზირებული სატრანსპორტო მოძრაობის სისშირე, მონაკვეთი 2						
წელი	მანქანა	მიკროავტობუსი	ავტობუსი	სატვირთო	ტრაილერი	სულ
2015	16,496	6,528	667	332	257	24,280
2016	17,357	6,869	702	351	272	25,551
2017	18,130	7,174	733	368	285	26,690
2018	18,817	7,446	761	382	296	27,703
2019	19,426	7,687	786	395	306	28,599
2020	19,961	7,899	807	406	315	29,388
2021	20,429	8,084	826	416	322	30,078
2022	20,838	8,246	843	424	329	30,679
2023	21,255	8,411	859	433	335	31,293
2024	21,680	8,579	877	441	342	31,919
2025	22,113	8,751	894	450	349	32,557
2026	22,556	8,926	912	459	356	33,208
2027	23,007	9,104	930	468	363	33,872
2028	23,467	9,286	949	478	370	34,550
2029	23,936	9,472	968	487	378	35,241
2030	24,415	9,661	987	497	385	35,946
2031	24,903	9,855	1,007	507	393	36,665
2032	25,401	10,052	1,027	517	401	37,398
2033	25,909	10,253	1,048	527	409	38,146
2034	26,427	10,458	1,069	538	417	38,909

AASHTO სტანდარტის მიხედვით, რომელიც გამოყენებულია საფარის კონსტრუქციის დაპროექტებისთვის, სატრანსპორტო მოძრაობის სიხშირე გადაყვანილი უნდა იქნას ESAL-ში, რომელიც ვარაუდობს ერთეულ დატვირთვას 8.16 ტონის ექვივალენტურ სტანდარტულ ღერძზე. ქვემოთ კონსულტანტის მიერ წარმოდგენილია დატვირთვის ექვივალენტურობის ფაქტორები და ექვივალენტური სტანდარტული ღერძების რიცხვი სატრანსპორტო საშუალების კატეგორიის მიხედვით, რომელიც დაანგარიშებულია AASHTO სტანდარტების მიხედვით. ამასთან, ზემოთ მოცემული ექვივალენტური ერთეული ღერძების მთლიანი რაოდენობა გაყოფილია შუაზე ESAL-ის დაანგარიშებისას შემდეგი ორი მიმართულებით:

ცხრილი 8.2: ESAL-ის დაანგარიშება

სატრანსპორტო საშ. კატეგორია	ექვივალენტური ღერძული დატვირთვის ფაქტორები	ESAL-ის შეკრებილი რაოდენობა
მსუბუქი მანქანა	0.0002	31,866
მიკროავტობუსი	0.0010	63,051
ავტობუსი	1.4030	9,039,501
დიდისა ტვირთო	1.4720	4,768,897
ტრაილერი	3.2880	8,256,825
სულ		22,160,141

საპროექტო ზოლზე სატრანსპორტო მოძრაობა () გამოთვლილია ქვემოთ მოცემული ფორმულით:

პუნქტი	არამტკიცე საფარი	შენიშვნა
	9,972,063	

8.2.2. საფარის დაპროექტება

მონაკვეთი 2-ზე არამტკიცე საფარის სტრუქტურა უნდა იყოს შემდეგი სახის:

- ზედა ფენა: წვრილ გრანულოვანი სქელი ასფალტობეტონის ცხელი ნარევი 5სმ სისქის;
 - შუამაკავშირებელი ფენა: მსხვილ გრანულოვანი (დაუმუშავებელი) პოროვანი ასფალტობეტონი 10 სმ სისქის;
 - საფუძველი: დასრულებული შემაჯსებელი (0-40მმ) 25სმ სისქის;
 - ქვედაფენა: ქვიშისა და ხრეშის ნარევი 25სმ სისქის
- ძირითადი საპროექტო ფორმულა მონაკვეთი 2-თვის შემდეგი სახისაა:

ცხრილი 8.3: ძირითადი საპროექტო ფორმულა

სტანდარტი	ძირითადი საპროექტო ფორმულა
<p>AASHTO</p>	<div style="text-align: center;"> $\frac{P_i - P_o}{10^6} = \frac{10^{0.07(SN - 1.645)} - 10^{0.07(SN - 1.645)}}{10^{0.07(SN - 1.645)} - 10^{0.07(SN - 1.645)}}$ </div> <p>სადაც,</p> <p style="text-align: center;">სტანდარტული ნორმალური გადახრა სავარაუდო მოძრაობისა დასავარაუდო ვარგისიანობის ერთობლივი სტანდარტული ცდომილება</p> <p>$\Delta PSI =$ განსხვავება პროექტის საწყის საექსპლუატაციო ვარგისიანობის მაჩვენებლისა, P_i და პროექტის საბოლოო საექსპლუატაციო ვარგისიანობის მაჩვენებლის შორის P_o და</p> <p>დრეკადობის მოდული (psi)</p> <p>SN უდრის საფარის მთლიანი სისქის სტრუქტურულ ქვედა მაჩვენებელს: 4.987</p> <p>სადაც,</p> <p style="text-align: center;">ფენის კოეფიციენტი ფენის სისქე (დიუმებში) და ფენის სადრენაჟე კოეფიციენტი</p>

პროექტირებული საფარის საფუძველის ადგილზე ტვირთმზიდობის მინიმალური მიღებული ძალა უნდა იყოს სულ მცირე CBR-10.0%. ამის სისრულეში მოყვანა შეიძლება მიწაყრილის მოწყობით ან იშვიათად, არსებული გრუნტის ფენის შენაცვლებით.

საჭირო სტრუქტურული რაოდენობის (SN) გამოსათვლელი მაჩვენებლებია:

- პროექტირებული გზის უსაფრთხოების კოეფიციენტი: $R = 95\%$
- სტანდარტული ნორმალური გადახრა: $ZR = -1.645$
- ზღვრული სტანდარტული გადახრა: $S_0 = 0.45$
- ექვივალენტური სტანდარტული დერძების რაოდენობა: $W_{18} = 8,964,666$
- დრეკადობის მოდული: $M_{R(PSI)} = 8,664 \text{ PSI (CBR=10.0\%)}$
- პროექტირებული საექსპლუატაციო ვარგისიანობის დანაკარგი: $PSI = 1.7$

შესაბამისად, საჭირო სტრუქტურული რაოდენობა (SN) არის 4.987.

ასევე, პროექტირებული სტრუქტურული რაოდენობის შედგენილობის შემდეგი სახის:

ფენა	სისქე(D)	არამტკიცებაფარი	შენიშვნა
------	----------	-----------------	----------


		ფენისკოეფიციენტი (a_i)	SN	
ზედაფენა	5სმ(1.97დიუმი)	0.440	0.953	
შემაკავშირებელი ფენა	10სმ(3.94დიუმი)	0.400	1.732	
საფუძველი	25სმ(9.84დიუმი)	0.140	1.516	
ქვედაფენა	25სმ(9.84დიუმი)	0.110	1.191	
სულ	65სმ(25.59დიუმი)		5.392(> 4.987)	OK

* სადრენაჟე კოეფიციენტი(m_i)თითოეული ფენისათვის არის 1.1-ს

8.2.3. მონაკვეთი 2-ის საფარის პროექტის შესაბამისობა

დასკვნის სახით, კონსულტანტი ამტკიცებს, რომ პროექტის SN უფრო მაღალია ვიდრე საჭირო SN, AASHTO მეთოდით გამოთვლილ შედეგებზე დაყრდნობით. ამრიგად, შემოთავაზებული საფარის სტრუქტურა და სისქე (არამტკიცე საფარის სტრუქტურა) შეინარჩუნებს საჭირო გამძლეობას და კარგ მდგომარეობას 20წლის განმავლობაში და ოპტიმალური საფარის სისქე არის შემდეგი:

მონაკვეთი 2- ასფალტბეტონის საფარი



Wearing Course : Fine grained dense asphalt concrete hot mix, t = 5cm
Binder course : Coarse grained porous asphalt concrete, t = 10 cm
Base : Crushed aggregates(0-40mm), t = 25 cm
Sub-base : Sand and gravel mixture, t = 25cm

ძედა ფენა: წვრილმარცვლოვანი მკვრივიასფალტბეტონისნაზავი t=5სმ
შემაკავშირებელი ფენა: მსხვილმარცვლოვანი ფოროვანიასფალტბეტონი t=10სმ
საფუძველი: შებენი(0-40მმ),t=25სმ
ქვე-საფუძველი: ქვიშისა და ხრეშისნაზავი t=25სმ

9. გზაჯვარედინები და კვანძები

9.1. შესავალი


სატრანსპორტო კვანძის წარმატებული დაპროექტებისათვის აუცილებელია საგზაო მიერთებების ადგილმდებარეობა და ტიპები შეესაბამებოდეს მიერთების წერტილის სოციალურ (დაბრკოლებები და მშენებლობის ხარჯები), გეოლოგიურ და სატრანსპორტო მოძრაობის პირობებს. ასევე, აუცილებელია მათი სათანადოდ მიერთება არსებული გზის ირგვლივ.

კვანძის ადგილმდებარეობა შერჩეულია არსებულ გზასთან დაკავშირებისა და მონაკვეთი 2-ზე სატრანსპორტო მოძრაობის პირობების გათვალისწინებით. კვანძის სახეობა კი ითვალისწინებს ფონიჭალის ტერიტორიის გეოლოგიურ მონაცემებსა და დაბრკოლებებთან შეუსაბამობის მინიმუმამდე დაყვანას და ხალხის შეუფერხებელ მისვლას გზასთან. მონაკვეთი 2-ზე იგეგმება ორი კვანძის მოწყობა.

9.2. სატრანსპორტო კვანძის შედარება

საპროექტო მონაკვეთზე მოსაწყობი კვანძის გეგმა შემდეგი სახისაა:

ცხრილი 9.1: მე-2 მონაკვეთის სატრანსპორტო კვანძის განლაგება



მონაკვეთი 2-ზე იქნება ორი კვანძი, მათი მდგომარეობაა:

- კვანძი 2-1 სადაც, არის STA 4+700, გეგმის მიხედვით არის რომბის ტიპის. იგი შეუერთდება არსებულ მარნეულის გზატკეცილს და ფონიჭალასთან მისასვლელ გზას მთავარ გზაზე დაგეგმილი გზაგამტარისა და მის თავზე მოთავსებული ორზოლიანი შემოვლითი გზის საშუალებით.
- კვანძი 2-2, სადაც, არის STA 9+900 გეგმის მიხედვით არის რომბის ტიპის. იგი შეუერთდება პარალელურ გზას მთავარ გზაზე დაგეგმილი გზაგამტარი ხიდისა და მთავარი გზის გზაგამტარის ქვეშ ორი შემოვლითი გზის საშუალებით.

თბილისი-რუსთავის გზის სრული თანმიმდევრობის გათვალისწინებით პროექტის

გეომეტრიული პარამეტრები გამოყენებულია TEM-ის სტანდარტების მიხედვით,

დომელიც თანხვედრია ნატახტარი-იგოეთის აღდგენილი გზის მონაკვეთის-E60 – ის გეომეტრიისა

ცხრილი 9.1: სატრანსპორტო კვანძისპანდუსის პარამეტრები

განაწილება	ტექნიკური დავალება	შესაბამისსტანდარტი			გამოყენებული ღირებულებები	შენიშვნა
		ASHTO-ს სტანდარტიმოდრაობის მდგომარეობა: A)	TEM სტანდარტი	SST გზები (2009)		
საგზაოზოლის სიგანე	-	3.6მ	ნეწაყ:4.0მ თწოწაყ:3.5მ	-	ნეწაყ:4.0მ თწოწაყ:4.0მ	
გამაგრებული გვერდულისსიგანე	-	მარჯვენა: 2.4“3.0მ მარცხენა: 0.6“1.2მ	1.0მ	-	1.0მ	
გაუმაგრებული გვერდულისსიგანე	-	-	0.5მ	-	0.5მ	
ტროტუარისსიგანე	-	-	-	-	2.25მ	

SST გზები 2009 (ქართული სტანდარტი) არმ იეკუთვნება სატრანსპორტო კვანძს.

მე-2 მონაკვეთის STA 8+000 ~ STA 9+840 მონაკვეთი მდებარეობს ფონიჭალის დასახლებულ პუნქტში და განაპირა გზები დაპროექტებულია ადგილობრივი მოსახლეობის გზასთან წვდომისათვის. განაპირა გზების გეომეტრიული პარამეტრების არის შემდეგი:

ცხრილი 9.2: განაპირა გზის რამპისათვის გამოყენებული პარამეტრები

განაწილება	ტექ. დავალება	გამოყენებული ღირებულებები	შენიშვნა
საპროექტოსიჩქარე	-	3.5მ	
გვერდისმინიმალურიადიუსი	-	52მ	
მაქსიმალურიგრძობიქანობი	-	6.9%	
სავალიზოლისსიგანე	-	3.5მ	
გამაგრებულიგვერდულისსიგანე	-	0.5მ	
გაუმაგრებულიგვერდულისსიგანე	-	0.5მ	
ტროტუარისსიგანე	-	2.25მ	

10. გზის კეთილმოწყობა

10.1. მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება

მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პროექტში გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების დაყენება, სავალი ნაწილის მონიშვნა, მიმართველი ბოძკინტებისა და ლითონის მრუდსაზოვანი ძელების დაყენება.

10.2. საგზაო ნიშნები

შაპროექტო მონაკვეთზე გამოყენებულია სტანდარტული საგზაო ნიშნები III ტიპის ზომის. საგზაო ნიშნების დამზადება და დაყენება უნდა განხორციელდეს 10807-78, 17918-80, ISO/ES, ASTM სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

სტანდარტული საგზაო ნიშნების კორპუსები ეწყობა თუთიით გაღვანიებული ლითონის პროფილისაგან სისქით 0,8-1,2 მმ. ინდივიდუალური საგზაო ნიშნების კონსტრუქცია ეწყობა ალუმინის პროფილებით ალუმინის ჩარჩოზე.

ფარებზე ყველა გამოსახულება დატანილი უნდა იყოს შუქლამაბრუნებელი მაღალი ხარისხის აღმასის კლასის „3M“ DG³ ტიპის პრიზმულ-ოპტიკური სისტემის წებოვანი ფირით, აპლიკაციის მეთოდით, წინასწარ პლოტერზე დაჭრით. ფირი უნდა შეესაბამებოდეს ASTM, EN 12899 სტანდარტებს.

- სტანდარტული - 37 ცალი
- ინდივიდუალური - 13 ცალი

არამაგისტრალურ გზებზე (მიერთებები, გადაკვეთები, ადგილობრივი მოძრაობის გზები) გამოყენებულია სტანდარტული საგზაო ნიშნები II ტიპის ზომის. სტანდარტული და ინდივიდუალური საგზაო ნიშნები იდგმება გვერდულებზე იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ნიშნის უახლოესი წიბო სავალი ნაწილის წარბიდან მოცილებული უნდა იყოს არანაკლებ 0,5მ-სა.

სულ არამაგისტრალურ გზებზე იდგმება ნიშნები:

- სტანდარტული II ტიპის ზომის- 111 ცალი
- ინდივიდუალური - 2 ცალი

სტანდარტული საგზაო ნიშნები მაგრდება ლითონის მილის დგარებზე, დიამეტრით 76-102 მმ, კედლის სისქით 4მმ.

ინდივიდუალური საგზაო ნიშნების ფარები მაგრდება ლითონის კონსტრუქციებზე (3 დგარზე), ნახევარჩარჩოვან და მთლიანჩარჩოვან კონსტრუქციებზე.

სტანდარტული საგზაო ნიშნებისდგარებად გამოყენებულია ლითონის მილები:

- 76მმ - 52 ცალი
- 102 მმ - 31 ცალი

ინდივიდუალური საგზაო ნიშნების დასამაგრებლად გამოყენებულია:

- ლითონის მთლიანჩარჩოვანი კონსტრუქცია- 4 ცალი
- ლითონის ნახევარჩარჩოვანი კონსტრუქცია – 5 ცალი

- ლითონის სამდგარიანი კონსტრუქცია- 2ცალი

10.3. საგალი ნაწილის მონიშვნა

საგალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა ხორცილდება ერთ კომპონენტთან საგზაო ნიშანსადები საღებავით დამზადებული მეთილმეთაკრილატის საფუძველზე, გაუმჯობესებული შუქდამაბრუნებელი მინის ბურთულაგებით ზომით 100-600მკმ,(23457-86,ISO 9001,EN 1436,EN 1471,EN 1423,EN 1424 სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით).

პროექტში გამოყენებულია:

- უწყვეტი ხაზები (1.1) სიგანით 100-150 მმ- 521.4 მ²
- გვერდითი მონიშვნის უწყვეტი ხაზები (1.2), სიგანით 100-150მმ – 6997.9 მ²
- წყვეტილი ხაზები (1.5), თანაფარდობა შტრიხსა მმ და შუალედს შორის 1:3, სიგანით 150 – 550.7 მ²
- წყვეტილი ცაზები (1.6), თანაფარდობა შტრიხსა და შუალედს შორის 3:1, სიგანით 150 მმ- 36.1მ²
- გზაჯვარედინის აღნიშვნა, წყვეტილი ხაზები (1.7)- $l_1=l_2$, სიგანით 100-150მმ-68.3 მ²
- წყვეტილი ხაზები (1.8) $l_1=1.0$ m $l_2=3.0$ მ, სიგანით 400 მმ, 188.2 მ²
- მონიშვნები 1.13, 1.14.1; 1.16.2; 1.16.3, 1.20–735.5მ²
- მონიშვნა 1.18ისრის სიგრძე 5.0მ-7.5მ-518.2 მ²
- მონიშვნა 1.19 ისრის სიგრძე 7.5მ- 78.0 მ²
- სულ ჰორიზონტალური მონიშვნა – 9694.3 მ²

10.4. საგზაო შემოფარგვლა

საგზაო შემოფარგვლა განხორციელებულია ლითონის მრუდხაზოვანი ძელებით (ცინოლ-ალპოლით დაფარული) ფ-3, 23457-86, 26804-86, BSEN1317-1, BSEN1317-2, BSEN1317-3 და BS6779-2 სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით, საერთო სიგრძით- 2864 გრძმ

პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს მონიშვნის ხაზზე 384 ცალი პლასტმასის მიმართველი ბოძკინტების მოწყობას და აგრეთვე არმირებული ბეტონის ზღუდარის მოწყობას-13284 გრძმ.,

ხარისხის კონტროლის პროცედურები მოცემულია ტექნიკური სპეციფიკაციების 400-იან რიგში/მწკრივში

ცალკე სქემებზე დეტალურად განხილულია საგზაო ნიშნების, საგზაო მონიშვნის და საგზაო შემოფარგვლის განლაგება გზაზე.

პროექტში მიღებული ღონისძიებები და საპროექტო გადაწყვეტილებები შეესაბამება 23457-86, 10807-78, 26804-86, BS873, ISO9001, BS873, BS EN 1317 და BS 6779-2 სტანდარტებს რომლებიც უზრუნველყოფენ მოძრაობის ორგანიზაციასა და უსაფრთხოებას.

11. ტრანსპორტის მოძრაობის მართვა მშენებლობის დროს

პროექტის სატრანსპორტო კვანძებზე სატრანსპორტო მიმოსვლის გადაჭარბებული მოცულობის გამო სატრანსპორტო საშუალებების მოცულობა არსებულ გზაზე იდეალურად უნდა იყოს მოწყობილი და მოაზრებული. მშენებელმა უნდა მოამზადოს მოძრაობის მართვის დეტალური დეტალური გეგმა მონაკვეთებისათვის, სადაც გამოყენებულ იქნება არსებული გზა, სადაც არსებული გზის 2 ზოლი იშლება 4~6 ზოლად საწყის მონაკვეთზე (Sta. 4+000~Sta.4+600) დაბოლო მონაკვეთზე (Sta.8+200~Ep) ამიტომ, მოძრაობის მართვის გეგმა უცილებელია იმისათვის, რომ შენარჩუნდეს არსებული მიმოსვლის ნაკადი ორ მონაკვეთზე მშენებლობის დროს.

ზის მშენებლობა ხელს არ შეუშლის გზებზე მოძრაობას და გადაადგილებას სამშენებლო ზონაში. ონტრაქტორმა უნდა მოამზადოს გზებზე მოძრაობის ორგანიზების დეტალური გეგმა ძირითადად კვანძების მშენებლობისთვის, სადაც არის ადგილობრივი მოძრაობა.

ვარების სიხშირე სამუშაო ზონაში მეტია სხვა ადგილებთან შედარებით. აქედან გამომდინარე მთავარი რამ, რისი გათვალისწინებაც ხდება, არის უსაფრთხოება. თუ მძღოლისთვის გზებზე მოძრაობის კონტროლი ადვილი გასაგებია და მას აქვს შესაბამისი დრო გადაწყვეტილების მისაღებად, ისინი შეძლებენ მანქანის უსაფრთხოდ მართვას.

სამშენებლო პერიოდის დროს შეუძლებელია სრული გამტარობის უზრუნველყოფა. სამუშაოს მიმდინარეობის შესაბამისად ზოლები ან ვიწროვდება ან იკეტება ან ხდება მათი მარშრუტის გადატანა.


გზებზე და სატრანსპორტო კვანძებზე მოძრაობის დიდი მოცულობის გამო ხაზების დახურვა არ ნიშნავს მოძრაობის შეწყვეტას სამშენებლო ტერიტორიაზე. 2 ზოლიან გზაზე ზოლის დახურვისას საჭირო ამისი გადატანა გვერდებზე ან ორივე ზოლის უზრუნველყოფა 1 ზოლში.

ძლიერ გადატვირთული გზების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას მოძრაობის გადატანა გვერდულებზე, ხოლო გზების სხვა ნაწილების შემთხვევაში კი მისაღებია ალტერნატივა მოძრაობის 1 ზოლში გადატანაზე.

მოძრაობის გადატანა არის სტრატეგია, რომელიც სამუშაო ზონაში მოძრაობის შეწყვეტას არ იწვევს, რადგან შენარჩუნებულია ზოლების იგივე რაოდენობა და ვიწრო ზოლებს გააჩნიათ მინიმალური გავლენა გამტარობაზე. გვერდების, როგორც დროებითი ზოლის გამოყენება შესაძლებელს ხდის მოძრაობის მოსალოდნელ დატვირთვის გაძლებას. გვერდებზე ხრეშის მოყრა და გამაგრება იძლევა უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის საშუალებას მისაღებ სინქარეზე. ადეკვატური ნიშნები უნდა იქნეს გამოყენებული, რომ მძღოლებმა მიიღონ ინფორმაცია დროებითი ზოლების შესახებ.

ვერდულისკენ მიმართული ტრანსპორტის მოძრაობის ტიპური სქემა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაში:

გამოსახულება 10.1 მოძრაობის გვერდულისკენ მიმართვის ტიპური განლაგება



მშენებლობის დროს შეიძლება მისასვლელი გზები დროებით დაიბლოკოს სამუშაო ზონით, რის შედეგადაც ხელი შეეშლება პარკირებას და მისვლას ახლომახლო ბიზნეს დაწესებულებებთან და საცხოვრებელა დგილებთან. ალტერნატიული მისასვლელი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სადაც ეს შესაძლებელია მიმართულების მაჩვენებელ ნიშნებთან ერთად, რომ საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია.


კონტრაქტორმა უნდა მისცეს წერილობითი შეტყობინება მიწის ყველა მფლობელს, მეიჯარეს, ბიზნესისმწარმოებლებს და მაცხოვრებლებს უპირატესი გავლისუფლების შესახებ და უნდა ახსნას თითოეული სამუშაო ქმედების ზუსტი მდებარეობა და ხანგრძლიობა. ოტენციური დაბრკოლებები იდენტიფიცირებულ უნდა იქნეს და მითითებულ უნდა იქნეს ალტერნატიული მისასვლელი გზები.

11.2 მშენებლობის პერიოდში მოძრაობის მართვის ზედაპირული გეგმა.

საწყისი მონაკვეთი (სტა. 4+000“ სტა. 4+600)


ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაში წარმოდგენილია ტიპური განივი კვეთები საწყის მონაკვეთზე მოძრაობის მართვის ყველა ეტაპისათვის

გამოსახულება 10.2 მოძრაობის მართვის ზედაპირული გეგმა საწყისი მონაკვეთისათვის



დასასრული მონაკვეთი (სტა. 8+200)

ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაში წარმოდგენილია ტიპური განივი კვეთები ბოლო მონაკვეთზე მოძრაობის მართვის ყველა ეტაპისათვის.



11.3 საჯარო ინფორმაცია

პროექტის შესახებ სწორი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი ელემენტია სამუშაო ზონის მართვის მთლიან სტრატეგიაში. ისეთი რესურსების გამოყენებას, როგორცაა გაზეთები, რადიო და ტელევიზია, შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საზოგადოების შეხედულება და შეგუება არსებულ დისკომფორტთან. საზოგადოების ინფორმირების პროგრამის მთავარი უპირატესობები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო ქმედებებთან, შემდეგია:

- წინასწარ შეტყობინებამ შეიძლება უზიარებლად მომხმარებლებს თავად მოძებნოს ალტერნატიული მარშრუტები პროექტის ახლომხედვით;
- წინასწარ შეტყობინებამ შეიძლება უზიარებლად მომხმარებლებს იმოძრაონ არაპიკურ საათებში ან როცა სამშენებლო ადგილებზე შესვენებაა;

მძღოლების მიერ ინფორმაციის მიღება შეამცირებს მაღალ სიჩქარით მოძრაობას და აგრესიულ მართვას სამუშაო ზონებში.

12.სადრენაჟე სისტემა

12.1. ძირითადი გზისგრძივი და განივი დრენაჟი, წყალგამტარიმილები

12.1.1 ძირითადი გზის განივიდრენაჟი– წყალგამტარიმილები

საპროექტო გზა კვეთს გამოკვეთილ ხევეებს, არხებს, დასახლებულ პუნქტებში სარწყავ არხებს. წყლის ნაკადის გასატარებლად და გზის სავალი ნაწილიდან ატმოსფერული ნალექების მოცილების მიზნით დაპროექტებულია სხვადასხვა მართკუთხა კვეთისშეკრული კონტურის მონოლითური რკინაბეტონის მილები. მშენებლობა წარმოებს ადგილზე. პროექტირების დროს გათვალისწინებული იქნა შემდეგი პირობები:

- ნორმებით გათვალისწინებული მილის კვეთის მინიმალური გეომეტრიული ზომები და ჰიდრაულიკური ანგარიშები

- საანგარიშო მიწაყრილის სიმაღლე

- საანგარიშო დატვირთვები

აღნიშნული პირობებიდან გამომდინარე შეირჩა 1.5x2.0მ, 2.0x1.5მ, 4.0x2.5მ და 6.0x3.5მ კვეთის მილები, რომელიც გათვალისწინებულია წყლის გასატარებლად. საპროექტო მონაკვეთზე გათვალისწინებული ნაგებობების რაოდენობა შეადგენს:

- მილი კვეთით 1.5x2.0 მ – 9 ცალი

- მილი კვეთით 2.0x1.5 მ – 5 ცალი

- მილი კვეთით 4.0x2.5 მ – 2 ცალი

- მილი კვეთით 6.0x3.5 მ – 1 ცალი

12.2 სატრანსპორტო კვანძების გრძივი და განივი დრენაჟი

12.2.1. განივი დრენაჟი

კვანძზე ატმოსფერული ნალექების მოცილების მიზნით დაპროექტებულია მართკუთხა კვეთისშეკრული კონტურის მონოლითური რკინაბეტონის მილები კვეთით 1.0x1.5 მ – 3 ცალი

12.2.2. გრძივი დრენაჟი

საპროექტო გზის პკ46+20-ზე დაპროექტებული სატრანსპორტო კვანძის ფარგლებში მოეწყო გვირაბის ტიპის გზაგამტარი, რის გამოც საპროექტო გზის პკ 45+71 – პკ 49+60 ფარგლებში არსებული მშრალი ხევეებიდან ატმოსფერული ნალექების დროსმოსული წყლის ასარინებლად და პროექტდაწლის ასარინებელი რკინაბეტონის კოლექტორი. კოლექტორი შედგება 9 რკინაბეტონის სამეთვალყურეო ჭისგან, 1 ფრთიანი სათავისისგან და მათი დამაკავშირებელი რკინაბეტონის მილებისგან. სამეთვალყურეო ჭების ზომები გეგმაში შეადგენს 3.0X3.0მ და 4.3მX4.3მ, ხოლო მათი სიღრმეა 3.65მ და3.8მ შესაბამისად.

დამაკავშირებელი მიწები ორი კვეთისაა, სამეთვალყურეო ჭა№1-დან ჭა №6-მდე მიწის კვეთია 1.5X2მ, ხოლო ჭა№6 კოლექტორის ბოლომდე მიწის კვეთია 2.5X2მ. რკინაბეტონის კოლექტორი უერთდება პკ 49+60-ზე მდებარე რკინაბეტონის მიწს, კვეთით 4.0X2.5მ. სამეთვალყურეო ჭების და მიწების ქვეშ გათვალისწინებულია ხრეშოვანი და ბეტონის საგების მოწყობა. სამეთვალყურეო ჭა №1 უნდა შეუდგეს არსებულ მიწთან. სამეთვალყურეო ჭა №3-ის ხევთან შეუდგებისთვის გათვალისწინებულია ტრაპეციული კვეთის რკინაბეტონის ღარის მოწყობა დახვევის კალაპოტის გაჭრა მისი ფორმირებით

13. მდინარე მტკვრის ჰიდრობრაზიული კვლევა

13.1 ჰიდროლოგიური მახასიათებლები

წინამდებარე თავი მოიცავს დამოუკიდებელი სპეციალისტ ზურაბ ბაღაშვილის (e-mail: z.bagiauri@mail.ru) მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგებს,

ხსენებული სამუშაოები შესრულებულ იქნა 2013 წლის 18 ივნისს "DOHWA ENGINEERING COMPANY LTD"-სა და დამოუკიდებელ სპეციალისტ ზურაბ ბაღაშვილს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად. სამუშაოების შედეგები ჩასწორებულ იქნა "დოჰვა"-ს ჰიდროლოგიის სპეციალისტის ბ-ნი კიმჯუნგ-სიკის მიერ გაკეთებული კომენტარების შესაბამისად. ხსენებული სამუშაოების მიზანი იყო მდინარის კვლევა და ჰიდროლოგიურ/ჰიდრაულიკური ანალიზი თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის (მე-2 მონაკვეთი) მოდერნიზაციისათვის

მდინარე მტკვარი, სამხრეთ კავკასიის უდიდესი მდინარე, სათავეს იღებს თურქეთში, მთაყიხილ-გიადიკის ჩრდილოეთ ფერდობზე არსებული წყაროებიდან 2720მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ერთვის კასპიის ზღვას ზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

მდინარის სიგრძე 1364კმ-ს, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 188000 კმ²-ს შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე მდინარის სიგრძე 350კმ-ია. ამ მონაკვეთზე მდინარის ჰიდროგრაფიული ქსელი შედგება 12211 მდინარისგან, რომელთა ჯამური სიგრძე 35465კმ-ს შეადგენს. მათ შორის ძირითადი შენაკადებია ფოცხოვი (სიგრძით 64კმ), დიდი ლიახვი (98კმ), თეძამი (51კმ), ქსანი (84 კმ), არაგვი (66 კმ), ალგეთი (108 კმ) და ქცია-ხრამი (201 კმ).

მდინარე მტკვრის აუზსა სიმეტრიული ფორმა გააჩნია და საქართველოს ტერიტორიაზე მოიცავს მთავარი კავკასიონის ქედს, სომხით-ჯავახეთის მთიანეთს და მათა შორის ოტექტონიკურ დაბლობს. მისი წყალგამყოფის ნიშნულები 2700-3000მეტრიდან (კავკასიონის ქედზე) აღმოსავლეთით დაბლდება 200-500მეტრამდე (აზერბაიჯანის საზღვრისაკენ). უზის ყველაზე დაბალ ნაწილს მათა შორის დაბლობი წარმოადგენს, რომელსაც ქართლის დაბლობი ეწოდება.

აუზის ზემო ნაწილის გეოლოგია წარმოდგენილია ვულკანური წარმოშობის ქანებით. მთისწინეთის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ პალეოზოური, იურული და ცარცული ასაკის ქვიშაქვები და ეოცენური თიხები. ქართლის ველის გეოლოგია ძველი და თანამედროვე ალუვიური ნალექებით არის წარმოდგენილი. დაბლობზე, მდინარის გასწვრივ გავრცელებულია ყავისფერი და შავმიწანიადაგები. უზის მცენარეული საფარი 2500მეტრზე ზემოთ წარმოდგენილია ალპური მცენარეულობით, რომლის

ქვემოთ გავრცელებულია სუბალპური მცენარეულობის ფართო

ზოლი. მთისწინეთში გავრცელებულია შერეული ტყე სადაც ჭარბობს ფოთლოვანი ჯიშები. ქართლის დაბლობი ძირითადად ათვისებულია სასოფლო-სამეურნეოკულტურებით.

მდინარის ხეობის ფორმა იცვლება მთელ სიგრძეზე. სახელმწიფო საზღვართან ხეობა ღრმადარის ჩაჭრილი მიმდებარე მთებს შორის, სოფელ მინაძის ზემოთ იგი იღებს ყუთის მაგვარ ფორმას, სოფ. მინაძის ქვემოთ ხეობა კანიონისებურია, რომელიც სოფ. ჩეჩერეკის ქვემოთ განივრდება. სოფელ აწყურიდან სოფ. ტაშისკარამდე მდინარე მიედინება ბორჯომის ხეობაში, სოფ. ტაშისკარის ქვემოთ კი გადის შიდაქართლის ვაკეზე, სადაც მდინარის ხეობა იღებს კარგად ჩამოყალიბებულ ყუთისმაგვარ ფორმას. სოფელ ძეგვთან მდინარის ხეობა კვლ ავიღებს კანიონის ფორმას, რომელიც გრძელდება 8კმ-ის სიგრძეზე. ძეგვის კანიონის ქვემოთ მდინარის ხეობა განივრდება და დიდუბემდე გადის დიდმის ვაკეზე, სადაც მარცხენა ფერდობი დაცილებულია წყლის ნაპირიდან 1,5-2კმ-ზე, მარჯვენა კი 3-4კმ-ზე. აღნიშნულ მონაკვეთზე მდინარე გაედინება ღრმად ჩაჭრილ კალაპოტში. ისი ტერასების სიგანე 150-350მეტრია. თერასების მოსწორებული ზედაპირი აგებულია ალუვიური დანალექებით. ამ მონაკვეთზე მდინარეს გააჩნია უმნიშვნელო ჭალა.

მდინარე საზრდობს ყინვარების, თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. ისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება სეზონური თოვლის დნობით გამოწვეული გაზაფხულის წყალდიდობით და ზაფხულისა და ზამთრის შედარებით მდგრადი წყალმცირობით. ველაზე წყალუხვპერიოდად ითვლება გაზაფხული, როდესაც ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 47-58%. ზაფხულის ჩამონადენი შეადგენს 22-27%-ს დააჭარბებს როგორც შემოდგომის, ასევე ზამთრის ჩამონადენს. ჩალკეულ წლებში, გაზაფხულის წყალდიდობას ემთხვევა წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები რაც იწვევს წყლის დონის კატასტროფულ აწევას. აღნიშნულის მაგალითია 1968წლის 18აპრილის წყალდიდობა, როდესაც ქ. თბილისში წყლის მაქსიმალურმა დონემ, წყალმცირობის დონესთან შედარებით 7-9 მეტრით აიწია.

წყლის მინიმალური დონეები და ხარჯები ძირითადად ზამთრის თვეებში ფიქსირდება. ამ პერიოდშიაღნიშნული ყინლოვანი მოვლენები არამდგრადია. ყველა ყინულოვანი მოვლენებიანდლეთასაშუალორიცხვი 63 დღეს არადემატება და საშუალოდ 8-14დღეს შეადგენს.

დინარე მტკვარი ფართოდ გამოიყენება ირიგაციული, ენერგეტიკული და სამრეწველო წყალმომარაგების მიზნებისთვის.

13.2. კლიმატი

მდინარე მტკვრის საპროექტო უბანი მდებარეობს ქ. თბილისის სამხრეთ-არმოსავლეთ ნაწილში, ქვემო ქართლისბარისჩრდილო- დასავლეთით, სადაც გაბატონებულიაქვემო ქართლისბარისთვის დამახასიათებელი ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი. გაბატონებული კლიმატური პირობებისჩამოყალიბებას განაპირობებს რამოდენიმე ფაქტორი: ტერიტორიის ოროგრაფიული პირობები, ადმოსავლეთიდანდა დასავლეთიდანმდ.მტკვრისხეობით შემოჭრილიჰაერის მასები დაამიერკავკასიისსამხრეთით განვითარებული ტალღური აღრევები, რომელთანაც დაკავშირებულია წლის თბილ პერიოდში უხვი ნალექები, ელჭექი და სეტყვა.

აღნიშნული ტერიტორიის კლიმატური დახასიათება შედგენილია საპროექტოუბნის სიახლოვეს არსებული თბილისის მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მეტეოროლოგიური სადგურის განთავსების სიმაღლე ზღვის დონიდანაა მეტეოროლოგიურ ელემენტებზე დაკვირვებების დაწყების თარიღები ცხრილში 13.1.

ცხრილი 13.1: ქალაქ თბილისის მეტეოროლოგიურ სადგურზე დაკვირვებების დაწყების თარიღი

მეტსადგური	სიმაღლე ზღვის დონიდან მ-სი	ჰაერის ტემპერატურა	ნიადაგის ტემპერატურა	ნალექები/თოვლის საფარი	ჰაერის სინოტივე	ქარი
თბილისი-ჰმთ	403	1881	1949	1891/1891	1936	1936

აღნიშნული მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემებით, აქ მზის ნათების ხანგრძლივობა მთელი წლის განმავლობაში მაღალია და მისი საშუალო წლიური სიდიდე 2500 საათს აღემატება. ჟამობრივი რადიაციაც, რომლის სიდიდე 120-130 კკალ/სმ²-ს შორის მერყეობს, საკმაოდ მაღალია, ხოლო რადიაციული ბალანსის წლიური მაჩვენებელი 51 კკალ/სმ²-ს შეადგენს.

მზის რადიაციასთან უშუალო კავშირშია კლიმატური პირობების მაფორმირებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი – ჰაერის ტემპერატურა, რომლის საშუალო თვიური, წლიური და ექსტრემალური მნიშვნელობები, თბილისის მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №2 ცხრილში.

ცხრილი 13.2: ჰაერის ტემპერატურის საშუალო თვიური, წლიური და ექსტრემალური სიდიდეები t0C

მეტსადგური	ტემპერატურა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
თბილისი	საშუალო	0.9	2.6	6.7	12.1	17.4	21.2	24.4	24.2	19.6	13.8	7.7	3.0	12.8
	აბს. მაქსიმუმი	20	24	29	32	36	37	41	40	38	32	27	22	41
	აბს. მინიმუმი	-22	-16	-16	-3	1	7	9	9	1	-5	-7	-19	-22

როგორც წარმოდგენილი ცხრილი 13.2-დან ჩანს, თბილისში ყველაზე ცხელი თვეებია ივლისი და აგვისტო, ხოლო ყველაზე ცივი – იანვარი და თებერვალი.

აქ წაყინვები, ანუ საშუალო დღე-ღამური დადებითი ტემპერატურების ფონზე ჰაერის გაცივება 0°C-ზე ქვემოთ, საშუალოდ იწყება ნოემბერში და მთავრდება მარტის ბოლოს. წაყინვების დაწყებისა და დასრულების თარიღები, ასევე უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში, იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 13.3: წაყინვების დაწყებისა და დასრულების თარიღები და უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში

მეტსადგური	წაყინვების თარიღი						უყინვო პერიოდი დღეებში		
	დასაწყისი			დასასრული			საშუალო	უმცირესი	უდიდესი
	საშუალო	ნაადრევი	გვიანი	საშუალო	ნაადრევი	გვიანი			
თბილისი	16. XI.	20. X.	11. XII.	24. III.	20. II.	27. IV.	236	194	284

ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა, რომელიც დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე, მის მექანიკურ შემადგენლობაზე, სინოტივეზე, მის დაცულობაზე მცენარეული საფარით

ზაფხულში და თოვლის საფარის სიმაღლეზე ზამთარში, ითვალისწინებს ნიადაგის ზედაპირის რამდენიმე მმ-იანი სისქის ტემპერატურას. მისი მაჩვენებლები მჭიდრო კავშირშია ჰაერის ტემპერატურის სიდიდეებთან. ამასთან, მისი საშუალო წლიური მაჩვენებელი 2⁰-ზე მეტად აღემატება ჰაერის ტემპერატურის საშუალო წლიურ სიდიდეს.

ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, წლიური, საშუალო მაქსიმალური და საშუალო მინიმალური მნიშვნელობები თბილისის მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 13.4.

ცხრილი 13.4: ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, წლიური, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურები t0C

მეტსადგური	ტემპერატურა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
თბილისი	საშუალო	0	3	8	15	22	27	31	30	23	15	7	2	15
	საშ.მაქსიმუმი	9	15	24	34	44	50	55	54	42	30	18	10	32
	საშ.მინიმუმი	-5	-3	0	5	11	15	18	18	14	7	2	-3	7

ნიადაგის ზედაპირის წაყინვების დაწყებისა და დასრულების საშუალო თარიღები, ასევე უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში, იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 13.5.

ცხრილი 13.5: ნიადაგის ზედაპირის წაყინვების დაწყებისა და დასრულების საშუალო თარიღები და უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში

მეტსადგური	წაყინვის საშუალოთარიღი		უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში
	პირველი შემოდგომაზე	საბოლოო გაზაფხულზე	
თბილისი	29.X.	13.IV	198

ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის ცვალებადობა ვრცელდება ნიადაგის სიღრმეში, ამასთან სიღრმის მატებასთან ერთად მცირდება ტემპერატურის ამპლიტუდა.

ნიადაგის სიღრმის საშუალოთვიური და წლიური ტემპერატურები, თბილისის მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 13.6.

ცხრილი 13.6: ნიადაგის სიღრმის საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურები t0C

მეტსადგური	სიღრმე მ-ში	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
თბილისი	0.2	2.3	3.7	6.8	12.4	18.0	22.0	25.5	26.2	22.2	15.7	9.5	4.3	14.0
	0.4	3.3	4.0	6.9	11.9	17.0	21.0	24.6	25.6	22.3	16.7	10.9	5.7	14.2
	0.8	5.5	5.6	7.4	10.8	14.9	18.6	22.1	23.5	21.9	17.6	13.1	8.6	14.1
	1.6	8.5	8.7	9.1	10.7	12.8	15.3	18.0	19.7	20.0	19.3	16.0	12.9	14.2
	3.2	11.9	11.9	11.6	11.7	11.8	12.4	13.8	15.0	16.2	17.6	16.3	15.3	13.8

ატმოსფერული ნალექები, რომლებიც წარმოადგენენ რაიონის კლიმატური და ჰიდროლოგიური რეჟიმის მაფორმირებელ ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, საკვლევ ტერიტორიაზე არც თუ დიდი რაოდენობით მოდის. თბილისის ტერიტორიაზე მოსული ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამიერყევობს 540 მმ-ს არ აღემატება. ამასთან, ნალექების წლიური მსვლელობა ხასიათდება კონტინენტური ტიპით, ერთი მაქსიმუმით მაის-ივნისში და მეორადი, უმნიშვნელო მაქსიმუმით სექტემბერ-ოქტომბერში.

ატმოსფერული ნალექების საშუალო თვიური რაოდენობა და წლიური ჯამი, მოცემულია ცხრილში 13.7.

ცხრილი 13.7: ნალექების საშუალო თვიური რაოდენობა დაწლიური ჯამი მმ-ში

მეტსადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
თბილისი	18	23	33	55	90	78	50	40	46	45	38	24	540

ლოგორც ცნობილია, ატმოსფერული ნალექები მხოლოდ თხევადი, ანუ წვიმის სახით არ მოდის. ეტსადგურ თბილისის მონაცემებით ნალექების 86% მოდის თხევადი სახით, 8% მყარი ანუ თოვლის სახით და6% შერეული სახით.

ატმოსფერული ნალექების საშუალო თვიური რაოდენობა ფაზების მიხედვით (თხევადი, მყარი, შერეული) და მათი წლიური ჯამი, მეტსადგურ თბილისის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 13.8.

ცხრილი 13.8: ნალექების საშუალო თვიური რაოდენობა ფაზების მიხედვით და მათი წლიური ჯამი მმ-ში

მეტსადგური	ფაზა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
თბილისი	თხევადი	2	6	16	52	89	78	50	40	46	43	32	9	463
	მყარი	12	12	7	1	-	-	-	-	-	-	2	10	44
	შერეული	4	5	10	2	1	-	-	-	-	2	4	5	33

ჭლის განმავლობაში მოსული ატმოსფერული ნალექების საშუალო ხანგრძლივობა 939 საათს, მაქსიმალური კი 1422 საათს უტოლდება. ნალექების მოსვლის ხანგრძლივობა საათებში თვეების მიხედვით და მათი წლიური ჯამი, იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 13.9.

ცხრილი 13.9: ნალექების მოსვლის ხანგრძლივობა საათებში თვეების მიხედვით

მეტსადგური	ხანგრძლივობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
თბილისი	საშუალო	102	100	116	91	87	65	38	41	58	70	85	86	939
	მაქსიმალური	349	240	232	220	170	110	138	115	155	180	212	197	1422

აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით, აქ ნალექების დღე-ღამური მაქსიმალური რაოდენობა შედარებით მაღალია. ალექების დღე-ღამური მაქსიმალური რაოდენობა, დაფიქსირებული იმავე მეტსადგურზე 1955 წლის 16 აგვისტოს, 147 მმ-ს შეადგენს.

შხვადასხვა უზრუნველყოფის ნალექების დღე-ღამური მაქსიმალური რაოდენობა, დადგენილი მეტსადგურ თბილისის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების საფუძველზე, მოცემულია ცხრილში 13.10.

ცხრილი 13.10: სხვადასხვა უზრუნველყოფის ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმები მმ-ში (წლიური)

მეტსადგური	საშუალო მაქსიმუმი	უზრუნველყოფა%							დაკვირვებული მაქსიმუმი	
		63	20	10	5	2	1	მმ	თარიღი	
თბილისი	45	36	56	70	91	122	146	147	16.VIII.1955	

სხვადასხვა უზრუნველყოფის ნალექების დღე-ღამური მაქსიმალური რაოდენობა თვეების მიხედვით, დადგენილი იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 13.11.

ცხრილი 13.11: სხვადასხვა უზრუნველყოფის ნალექების დღე-ღამური

მაქსიმუმები მმ-ში თვეების მიხედვით

(მ/ს თბილისი)

თვე	საშუალო მაქსიმუმი	უზრუნველყოფა%						დაკვირვებული მაქსიმუმი	
		63	20	10	5	2	1	მმ	თარიღი
I	7	4	10	14	17	22	24	23	20.1961.
II	9	5	14	17	21	25	27	27	24.1916.
III	11	8	17	22	26	31	34	30	20.1958.
IV	17	12	26	34	39	42	46	43	25.1918.
V	26	17	40	49	60	84	109	109	11.1940.
VI	26	16	37	52	71	115	126	126	17.1948.
VII	18	12	26	37	46	65	78	80	9.1931.
VIII	18	10	26	34	48	90	128	147	16.1955.
IX	17	10	25	36	48	64	76	77	12.1914.
X	16	11	24	29	36	48	56	57	11.1924.
XI	14	10	19	24	32	50	71	75	26.1910.
XII	10	5	14	20	27	38	46	46	9.1906.

ჰაერისსინოტივეერთ-ერთიმნიშვნელოვანი კლიმატური ელემენტია. მას უმთავრესად
სამი სიდიდით ახასიათებენ, ესენია: წყლის ორთქლის დრეკადობა ანუ აბსოლუტური
სინოტივე, შეფარდებითი სინოტივე და სინოტივის დეფიციტი. პირველი ახასიათებს
ჰაერში წყლის ორთქლის რაოდენობას, მეორე-ჰაერის ორთქლით გაუღენთვის ხარისხს,
სოლო მესამე – მიუთითებს შესაძლებელი აორთქლების სიდიდეზე.

ქალაქ თბილისში ჰაერის სინოტივის მაჩვენებლები არც ისე მაღალია.
აღსანიშნავია, რომ ჰაერის წყლის ორთქლით გაჯერებისა (აბსოლუტურისინოტივის) და
მისი დეფიციტის მაჩვენებლის წლიური მსვლელობა პრაქტიკულად ემთხვევა ჰაერის
ტემპერატურის წლიურ მსვლელობას.

ჰაერის სინოტივის მაჩვენებლების საშუალო თვიური და წლიური სიდიდეები
თბილისის მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით,
მოცემულია ცხრილში 13.12.

ცხრილი 13.12: ჰაერის სინოტივის საშუალო თვიური და წლიური სიდიდეები

მეტსადგური	ტენიანობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
თბილისი	აბსოლუტური მმ-ში	5.2	5.4	6.1	8.6	12.4	14.8	17.2	16.7	14.2	11.0	8.2	5.9	10.5
	შეფარდებითი %-ში	73	69	66	62	64	60	56	57	64	73	77	76	66
	დეფიციტი მმ-ში	2.2	2.7	3.9	6.3	8.6	11.9	15.0	14.7	9.6	5.1	3.0	2.2	7.1

იმავე მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების
მიხედვით, თოვლის საფარი საშუალოდ ყველაზე ადრე ჩნდება 28.X-ს და ყველაზე გვიან
ქრება 19.IV-ს. ამასთან, თოვლის მოსვლის ხანგრძლივობა იანვარ-თებერვალში მერყეობს
50-დან 60საათამდე, მაგრამ ცალკეულ წლებში, მაგალითად 1988 წლის 2-3
თებერვალს, ქ. თბილისში თოვლი შეუჩერებლად მოდიოდა 39საათისა და 55წუთის
განმავლობაში. მიუხედავად ამისა, თოვლის მდგრადი საფარის არსებობის
ხანგრძლივობა დიდი არ არის.

თოვლის საფარის გაჩენისა და გაქრობის თარიღები, იმავე მეტსადგურის
მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 13.13.

ცხრილი 13.13: თოვლის საფარის გაჩენისადა გაქრობის თარიღები

მეტსადგური	თოვლიან დღეთა რიცხვი	თოვლისსაფარისგაჩენის თარიღი			თოვლისსაფარისგაქრობის თარიღი		
		საშუალო	ნაადრევი	გვიანი	საშუალო	ნაადრევი	გვიანი
თბილისი	15	30.XII.	28.X.	10.III.	28.II.	9.XII.	19.IV.

თბილისში ქრის ყველა მიმართულების ქარი, მაგრამ გაბატონებულ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ქარებს, განაპირობებს მდინარე მტკვრის ხეობის მიმართულება. ქარების მიმართულებები და შტილების რაოდენობა იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 13.14.

ცხრილი 13.14 ქარების მიმართულება და შტილების რაოდენობა %-ში წლიურიდან

მეტსადგური	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
თბილისი	26	3	4	25	8	2	4	28	33

ქარის საშუალო წლიური სიჩქარე თბილისში 2,4 მ/წმ-ს არ აღემატება, ხოლო ქარის საშუალოთვიური მაქსიმალური სიჩქარე, დაფიქსირებული მარტში დააპრილში, 2,8 მ/წმ-ს შეადგენს.

ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარეები, იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 13.15.

ცხრილი 13.15 ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე მ/წმ-ში

მეტსადგური	ფლიუგერის სიმაღლე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
თბილისი	16მ.	2.2	2.7	2.8	2.8	2.5	2.5	2.8	2.3	2.1	2.0	1.7	1.8	2.4

ქარის სხვადასხვა განმეორებადობის მაქსიმალური სიჩქარეები, თბილისის მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილში 13.16.

ცხრილი 13.16 ქარის მაქსიმალური სიჩქარეები მ/წმ-ში

მეტსადგური	ქარის მაქსიმალური სიჩქარე (მ/წმ) შესაძლებელი ერთჯერ				
	1წელში	5წელში	10წელში	15წელში	20წელში
თბილისი	22	27	29	30	32

საკვლევ ტერიტორიაზე დრუბლიანობა ზომიერია განსაკუთრებით წლის ცივ პერიოდში. საშუალოდ, წლის განმავლობაში, ცისტალის 60% დაფარულია დრუბლებით. აქ მაღალია საერთო დრუბლიანობა, რაც შეეხება ქვედა იარუსის დრუბლებს – დიდი არ არის. ასეთი დრუბლებით წლის განმავლობაში ცის თაღის მხოლოდ 40-45% არის დაფარული. საერთო დრუბლიანობის მიხედვით მოდრუბლული დღეები 100-130-ს, ხოლო მინიმალური კი 50-60 შორის იცვლება.

ელჭექი საკმაოდ ხშირი მოვლენაა – 35-50 დღე წელიწადში. ცალკეულ წლებში უფრო მეტია და 70-ს უახლოვდება. ელჭექი აქ უმთავრესად წლის თბილ პერიოდში იცის (თვეში 5-12 დღე). იშვიათად ელჭექი ზამთარშიც აღინიშნება.

ელჭექისაგან განსხვავებით სეტყვა მხოლოდ წლის თბილ პერიოდში იცის, ყველაზე ხშირია მაის-ივნისში. შეტყვიან დღეთა რიცხვი 1-2 დღეს არ აღემატება. ცალკეულ წლებში სეტყვა 6-7-ჯერ დაფიქსირდა.

აქნისლით შეიათადიციის წელიწადში საშუალოდ მხოლოდ 10-30 დღე ანისლიანი. ნისლი ძირითადად წლის ცივ პერიოდში ჩნდება, აღმოსავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრის დროს.

13.3 წყლის მაქსიმალური ხარჯები

მდინარე მტკვრის მაქსიმალური ხარჯების დასადგენად საპროექტო, ანუ მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე თბილისი-რუსთავის სამოდერნიზაციო ავტომაგისტრალის გასაყვან უბანზე, გამოყენებულია ანალოგის მეთოდი. ანალოგად აღებულია მდ. მტკვარი-ჰ/სთბილისის მონაცემები, რომელიც ჰიდროლოგიურ დაკვირვებათა 66 წლიან პერიოდს (1925-1990 წ.წ.) მოიცავს. აღნიშნულ პერიოდში მდ. მტკვრის მაქსიმალური ხარჯები ჰ/სთბილისის კვეთში მერყეობდნენ 448 მ³/წმ-დან (1947 წ.) 2450 მ³/წმ-მდე (1968 წ.).

ჰიდროლოგიურ საგუშაგო თბილისის კვეთში მდ. მტკვრის წლიური მაქსიმალური ხარჯების 66 წლიანი ვარიაციული რიგი სტატისტიკურად დამუშავებულია საქართველოში მოქმედი ნორმატივების შესაბამისად მომენტების მეთოდით. დამუშავების შედეგად მიღებულია განაწილების მრუდის შემდეგი პარამეტრები:

მაქსიმალური ხარჯების საშუალო მრავალწლიური სიდიდე $Q_0 = 1162$ მ³/წმ;

ვარიაციის კოეფიციენტი $C_v = 0,31$;

ასიმეტრიის კოეფიციენტის სიდიდე $C_s = 4C_v - 3$ -ს, მიღებულია ალბათობის უჯრედულაზე ემპირიული და თეორიული წერტილების უახლოესი თანხვედრით.

დადგენილია ვარიაციული რიგის რეპრეზენტატიულობის შესაფასებელი პარამეტრები:

- მაქსიმალური ხარჯების საშუალო მრავალწლიური სიდიდის შეფარდებითი საშუალო კვადრატული ცდომილება $\epsilon_Q = \frac{C_v}{\sqrt{n}} \cdot 100 = 3,82$ %;

- ვარიაციის კოეფიციენტის შეფარდებითი საშუალო კვადრატული ცდომილება $\epsilon_{C_v} = \sqrt{\frac{1+C_v^2}{2 \cdot n}} \cdot 100 = 9,11$ %

მიღებული პარამეტრები დამაკმაყოფილებელია, რადგან სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესაბამისად $\epsilon_Q \leq 5\%$ -ზე და $\epsilon_{C_v} \leq 10\%$ -ზე.

დადგენილია ასევე საშუალო კვადრატული გადახრა, რაც ტოლია $\delta = 360$.

მიღებული პარამეტრებისა და სამპარამეტრიანი გამა-განაწილების მრუდის ნორმირებული ორდინატების მეშვეობით ნაანგარიშეგია მდ. მტკვრის სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯები ჰ/სთბილისის კვეთში. სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯები ნაანგარიშეგია ასევე გუმბელის განაწილებით, რომლის მიხედვით სხვადასხვა განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯები იანგარიშება გამოსახულებით

$$Q_r = Q_0 + K \cdot \delta \text{ მ}^3/\text{წმ}$$

სადაც Q_r - საანგარიშო განმეორებადობის მაქსიმალური ხარჯი მ³/წმ-ში;

Q_0 - წყლის მაქსიმალური ხარჯების საშუალო მრავალწლიური სიდიდე, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 1162 მ³/წმ-ის;

K - ექსტრემალური მნიშვნელობებისთვის გამოყვანილი კოეფიციენტი, ღომლის სიდიდე ყოველი განმეორებადობისთვის აიღება სპეციალურად დამუშავებული ცხრილიდან;

δ - საშუალო კვადრატული გადახრა, რაც ტოლია 360-ის.

დინარე მტკვრის წყლის მაქსიმალური ხარჯები ჰ/სთბილისის კვეთში აღებულია

ცალკეული კატასტროფიული მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშების საფუძველზე მიღებული შედეგებიდან.

გადასვლა ანალოგიდან, ანუ ჰ/სთბილისის კვეთიდან საპროექტო, ანუ თბილისი-რუსთავის სამოდერნიზაციო ავტომაგისტრალის გასაყვანი უბნის ბოლო კვეთში, განხორციელებულია გადაწყვანი კოეფიციენტის მეშვეობით, რომლის მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით

$$K = \left(\frac{F_{sapr.}}{F_{an.}} \right)^n$$

სადაც $F_{sapr.}$ – მდინარე მტკვრის წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში, სადაც $F_{sapr.} = 21400$ კმ²-ს;

$F_{an.}$ – მდინარე მტკვრის წყალშემკრებია უზის ფართობია ჰ/სთბილისის კვეთში, $F_{an.} = 21100$ კმ²-ს;

n – რედუქციის ხარისხის მაჩვენებელია, რომლის სიდიდე წყლის მაქსიმალური ხარჯების შემთხვევაში მიიღება 0,5-ის ტოლად.

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეყვანით ზემოთ მოყვანილ გამოსახულებაში, მიიღება ანალოგიდან, ანუ ჰ/სთბილისის კვეთიდან საპროექტო კვეთში გადაწყვანი კოეფიციენტის სიდიდე 1,007-ის ტოლი. ჰ/სთბილისის კვეთში დადგენილი წყლის მაქსიმალური ხარჯების გადამრავლებით გადაწყვანი კოეფიციენტზე, მიიღება წყლის მაქსიმალური ხარჯები საპროექტო კვეთში.

დინარე მტკვრის მაქსიმალური ხარჯების სხვადასხვა უზრუნველყოფის სიდიდეები, დადგენილი სამპარამეტრიანი გამა-განაწილების, გუმბელის განაწილებისა და საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით ანალოგის, ანუ ჰ/ს თბილისის კვეთში, მოცემულია ცხრილში 13.17, ხოლო მდ. მტკვრის მაქსიმალური ხარჯები საპროექტო კვეთში – ცხრილში 13.18.

ცხრილი 13.17 მდინარე მტკვრის წყლის მაქსიმალური ხარჯები (მ3/წმ) ჰ/ს თბილისის კვეთში

უზრუნველყოფა P%	0,1	0,33	0,5	1	2	5	10
განმეორებადობა T წელი	1000	300	200	100	50	20	10
გამა-განაწილება	3030	2670	2520	2300	2140	1835	1630
გუმბელის განაწილება	3100	2750	2600	2395	2185	1900	1680
ჰიდრომეტ-ინსტიტუტი	3925	3460	3265	2980	2775	2380	2110

ცხრილი 13.18 მდინარე მტკვრის წყლის მაქსიმალური ხარჯები (მ3/წმ) საპროექტო კვეთში

უზრუნველყოფა P%	0,1	0,33	0,5	1	2	5	10
განმეორებადობა T წელი	1000	300	200	100	50	20	10
გამა-განაწილება	3050	2690	2540	2320	2155	1850	1640
გუმბელის განაწილება	3125	2770	2620	2415	2200	1915	1690
ჰიდრომეტ-ინსტიტუტი	3955	3485	3285	3000	2795	2395	2125

ვინაიდან ქ. თბილისში მდ. მტკვრის სანაპირო ჯებირების პარამეტრები გაანგარიშებულია საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დადგენილ ხარჯებზე, ამიტომ მდ. მტკვრის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშო სიდიდეებად საპროექტო კვეთში მიღებულია საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით მიღებული წყლის მაქსიმალური ხარჯები.

13.4 წყლის მაქსიმალური დონეები

დამკვეთის მოთხოვნით, მდ. ტკვრის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები საპროექტო ანუ თბილისი-რუსთავის სამოდერნიზაციო ავტომაგისტრალის უბანზე, დადგენილია სამი შემთხვევისთვის – არსებულ პირობებში, სამოდერნიზაციო გზის გასაყვანად საჭირო ცალმხრივი კედლის მოწყობისა და პერსპექტივაში ქალაქის სანაპირო ჯებირების გაგრძელების გათვალისწინებით ორმხრივი კედლის არსებობის შემთხვევებში.

მდინარე მტკვრის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულების ასადგენად საპროექტო უბანზე, გადაღებული იქნა კალაპოტის განივი კვეთები, რომელთა საფუძველზე დადგენილი იქნა მდინარის ჰიდრაულიკური ელემენტები. აღნიშნული ჰიდრაულიკური ელემენტების მიხედვით განხორციელდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $Q=f(H)$ დამოკიდებულების მრუდების აგება სამივე შემთხვევისთვის, რომლებიც ერთმანეთთან შებმულია ორსაანგარიშო კვეთს შორის ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობის შერჩევის გზით.

ნაკადის საშუალო სიჩქარე კვეთში დადგენილია შეზი-მანინგის ცნობილი ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია

$$V = \frac{h^{2/3} \cdot i^{1/2}}{n}$$

სადა h – ნაკადის საშუალო სიღრმეა კვეთში მ-ში;

i – ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობა ორ საანგარიშო კვეთს შორის;

n – კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტი, რომლის სიდიდე არსებულ პირობებში, სპეციალური გათვლის საფუძველზე კალაპოტისთვის მიღებულია 0,032-ის ტოლი.

მდინარე მტკვრის სხვადასხვა განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები არსებულ პირობებში მოცემულია ცხრილში 13.19, ცალმხრივი კედლის პირობებში 13.20, ხოლო ორმხრივი კედლის მოწყობის პირობებში ცხრილებში 13.21 ცხრილებში.

ცხრილი 13.19 მდინარე მტკვრის წყლის მაქსიმალური დონეები არსებულ პირობებში

განი- ვის №	მანი- ლი განი- ვებს შორის მ-ში	წყლის ნაპი- რის ნიშ- ნული მაბს.	ფსკე- რის უღაბ- ლეხი ნიშ- ნული	წ.მ.დ.						
				τ=1000 წყლს, Q=3955 მ³/წმ	τ=300 წყლს, Q=3485 მ³/წმ	τ=200 წყლს, Q=3285 მ³/წმ	τ=100 წყლს, Q=3000 მ³/წმ	τ=50 წყლს, Q=2795 მ³/წმ	τ=20 წყლს, Q=2395 მ³/წმ	τ=10 წყლს, Q=2125 მ³/წმ
1		365.26	362.00	372.00	371.50	371.30	370.90	370.65	370.20	369.80
2	300	364.88	362.60	371.40	370.90	370.70	370.30	370.05	369.60	369.20
3-ხიდი	250	364.40	360.40	370.90	370.40	370.20	369.90	369.60	369.10	368.80
4	150	364.30	361.70	370.50	370.00	369.80	369.50	369.25	368.80	368.45
5	160	364.16	361.00	370.10	369.60	369.40	369.15	368.90	368.50	368.15
6	200	364.01	361.00	369.70	369.20	369.00	368.70	368.50	368.10	367.80
7	240	363.75	362.20	369.00	368.55	368.35	368.10	367.85	367.45	367.15
8	200	363.40	361.90	368.60	368.15	367.95	367.60	367.40	367.00	366.65
9	130	362.75	361.50	368.30	367.80	367.60	367.30	367.10	366.65	366.30
10	170	361.80	360.40	367.85	367.40	367.20	366.90	366.65	366.20	365.90
11	200	361.12	359.60	367.50	367.00	366.80	366.50	366.30	365.85	365.50
12	220	360.50	356.50	366.75	366.30	366.15	365.90	365.70	365.30	365.00
13	180	360.30	357.30	366.40	366.00	365.80	365.55	365.35	365.00	364.70
14	200	359.90	357.20	365.75	365.40	365.20	365.00	364.80	364.50	364.20
15	300	359.40	357.90	364.80	364.50	364.40	364.20	364.05	363.75	363.50
16	300	359.00	357.50	364.20	363.90	363.80	363.65	363.50	363.20	363.00

ცხრილი 13.20 მდინარე მტკვრის წყლის მაქსიმალური დონეები ცალმხრივი კედლისპირობებში

განი-ვის №	მანძი-ლი განი-ვებს შორის მ-ში	წყლის ნაპი-რის ნიშ-ნული მ.აბს.	ფსკე-რის უდაბ-ლეხი ნიშ-ნული	წ.მ.დ.						
				ტ=1000 წელს, Q=3955 მ³/წმ	ტ=300 წელს, Q=3485 მ³/წმ	ტ=200 წელს, Q=3285 მ³/წმ	ტ=100 წელს, Q=3000 მ³/წმ	ტ=50 წელს, Q=2795 მ³/წმ	ტ=20 წელს, Q=2395 მ³/წმ	ტ=10 წელს, Q=2125 მ³/წმ
1		365.26	362.00	372.10	371.60	371.30	371.00	370.70	370.25	369.85
2	300	364.88	362.60	371.45	370.90	370.70	370.40	370.15	369.65	369.30
3-ხიდი	250	364.40	360.40	371.00	370.50	370.25	369.95	369.70	369.25	368.90
4	150	364.30	361.70	370.60	370.10	369.90	369.55	369.35	368.90	368.55
5	160	364.16	361.00	370.30	369.85	369.60	369.30	369.10	368.60	368.30
6	200	364.01	361.00	369.90	369.40	369.20	368.90	368.65	368.20	367.85
7	240	363.75	362.20	369.10	368.60	368.40	368.10	367.90	367.45	367.15
8	200	363.40	361.90	368.65	368.20	368.00	367.65	367.40	367.00	366.65
9	130	362.75	361.50	368.30	367.80	367.60	367.30	367.10	366.65	366.30
10	170	361.80	360.40	367.90	367.40	367.20	366.90	366.70	366.30	365.90
11	200	361.12	359.60	367.55	367.10	366.90	366.60	366.35	365.90	365.60
12	220	360.50	356.50	367.00	366.55	366.30	366.05	365.85	365.45	365.10
13	180	360.30	357.30	366.40	366.00	365.80	365.55	365.35	365.00	364.70
14	200	359.90	357.20	365.75	365.40	365.20	365.00	364.80	364.50	364.20
15	300	359.40	357.90	364.80	364.50	364.40	364.20	364.05	363.75	363.50
16	300	359.00	357.50	364.20	363.90	363.80	363.65	363.50	363.20	363.00

ცხრილი 13.21 მდინარე მტკვრის წყლის მაქსიმალური დონეები ორმხრივი კედლის პირობებში

განი-ვის №	მანძი-ლი განი-ვებს შორის მ-ში	წყლის ნაპი-რის ნიშ-ნული მ.აბს.	ფსკე-რის უდაბ-ლეხი ნიშ-ნული	წ.მ.დ.						
				ტ=1000 წელს, Q=3955 მ³/წმ	ტ=300 წელს, Q=3485 მ³/წმ	ტ=200 წელს, Q=3285 მ³/წმ	ტ=100 წელს, Q=3000 მ³/წმ	ტ=50 წელს, Q=2795 მ³/წმ	ტ=20 წელს, Q=2395 მ³/წმ	ტ=10 წელს, Q=2125 მ³/წმ
1		365.26	362.00	372.50	371.90	371.65	371.25	371.00	370.45	370.05
2	300	364.88	362.60	372.00	371.40	371.15	370.80	370.50	369.90	369.55
3-ხიდი	250	364.40	360.40	371.65	371.05	370.80	370.40	370.15	369.60	369.20
4	150	364.30	361.70	371.30	370.75	370.50	370.10	369.85	369.30	368.95
5	160	364.16	361.00	371.00	370.45	370.20	369.80	369.55	369.00	368.65
6	200	364.01	361.00	370.65	370.10	369.80	369.50	369.20	368.70	368.30
7	240	363.75	362.20	370.00	369.50	369.30	369.00	368.70	368.20	367.90
8	200	363.40	361.90	369.50	369.00	368.80	368.50	368.25	367.75	367.40
9	130	362.75	361.50	369.10	368.60	368.40	368.05	367.80	367.35	367.00
10	170	361.80	360.40	368.50	368.00	367.80	367.45	367.20	366.80	366.40
11	200	361.12	359.60	367.75	367.25	367.05	366.70	366.50	366.10	365.70
12	220	360.50	356.50	367.00	366.55	366.30	366.05	365.85	365.45	365.10
13	180	360.30	357.30	366.40	366.00	365.80	365.55	365.35	365.00	364.70
14	200	359.90	357.20	365.75	365.40	365.20	365.00	364.80	364.50	364.20
15	300	359.40	357.90	364.80	364.50	364.40	364.20	364.05	363.75	363.50
16	300	359.00	357.50	364.20	363.90	363.80	363.65	363.50	363.20	363.00

ნახაზებზე, მდ. მტკვრის კალაპოტისგანივ კვეთებზე, დატანილია 1000 წლიანი,300 წლიანი, 100 წლიანი და 10 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები სამივე შემთხვევისთვის.

მდინარის ჰიდრაულიკური ელემენტები, რომელთა საფუძველზე განხორციელდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $Q=f(H)$ დამოკიდებულების მრუდების აგება სამივე შემთხვევისთვის, მოცემულია დანართის №1 – №3 ცხრილებში, ხოლო თვით $Q=f(H)$ დამოკიდებულების მრუდები-№1-№3 გრაფიკებზე. ჩალმხრივი კედლისა და ორმხრივი კედლის შემთხვევებში $Q=f(H)$ დამოკიდებულების მრუდები შებმულია №13 განივის მრუდთან, რადგან №13 განივი არის არსებულ პირობებში აგებული ბოლო მრუდი, რომლის ზევით, №12 განივიდან №4 განივამდე დამკვეთის მიერ გათვალისწინებულია ცალმხრივი და ორმხრივი კედლების მოწყობა.

13.5 კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმე

მდინარე მტკვრის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე საპროექტოუბანზე დადგენილია სამივე შემთხვევისთვის. არსებული, ცალმხრივი და ორმხრივი კედლის მოწყობის პირობებში კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია, წყალსადინარების გადაკვეთებზე სარკინიგზო და საავტომობილო ხიდების საძიებო და საპროექტო სამუშაოების ჩასატარებელ მითითებაში”. აღნიშნული მეთოდის თანახმად კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე იანგარიშება ფორმულით.

$$H_{sash} = \left(\frac{Q_{1\%}}{(B \cdot 0,68 \cdot d_{sash} \cdot \beta)} \right)^Y$$

სადაც $Q_{1\%}$ - 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 3000 მ³/წმ-ის

B - მდინარის მდგრადი კალაპოტის სიგანეა, რომლის სიდიდე აღებულია კალაპოტის განივი კვეთების ჰიდრაულიკური ელემენტების ცხრილიდან და არსებულ პირობებში შეადგენს 150 მეტრს, ხოლო ცალმხრივი კედლის მოწყობის შემთხვევაში 115 მ-ს;

d_{sash} - კალაპოტის ამგები გრუნტის საშუალო დიამეტრია მმ-ში. მისი სიდიდე ადგილზე ჩატარებული გეოლოგიური კვლევებით დადგენილია მხოლოდ ორი შურფის მონაცემებით. აღსანიშნავია, რომ შურფების გაყვანა მდინარის ნაკადით დაკავებულ კალაპოტში შეუძლებელია, ამიტომ შურფები გაყვანილი იქნა მდინარის ნაპირზე, საიდანაც აღებული სინჯები არ იძლევიან მდინარის კალაპოტის ამგები გრუნტის რეალური საშუალო დიამეტრის დადგენის საშუალებას, ვინაიდან ნაპირებზე დალექილი მყარი მასალა მოტანილია წყალმოვარდნების პერიოდში ატივანარებული ნატანის სახით და არ შეესაბამებინ კალაპოტში არსებული მყარი ნატანის დიამეტრებს. ამიტომ, საპროექტო უბანზე კალაპოტის ამგები გრუნტის საშუალო დიამეტრიც სიდიდე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია, მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას მდგრადი კალაპოტის საანგარიში მეთოდურ მითითებაში.

აღნიშნული მეთოდის თანახმად, თავდაპირველად განისაზღვრება კალაპოტის ფსკერზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრი შემდეგი გამოსახულებით

$$d_{dan} = K \cdot i^{-0,9} \cdot \left(\frac{Q}{\sqrt{g}} \right)^{0,4}$$

აქ K - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი მასალის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე, დამოკიდებული წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე (μგრ/ლ), აიღება შესაბამისი ცხრილიდან და ჩვენ შემთხვევაში ტოლია 2,0-ის;

წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით

$$\mu=7000 \cdot \left(\frac{H}{d_{dan}} \right)^{0.7} \cdot i^{2.2} \text{ გრ/ლ}$$

სადაც H –ნაკადის საშუალო სიღრმეა საპროექტო უბანზე. ისი სიდიდე აღებულია მდ. ტკერის განივი კვეთების ჰიდრაულიკური ელემენტების ცხრილიდან და არსებულ პირობებში შეადგენს 5,0 მეტრს, ცალმხრივი კედლის მოწყობის შემთხვევაში კი 5,58 მეტრს;

i –ყველა ფორმულაში ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობისა საპროექტო უბანზე, რაც ტოლია 0,0020-ის;

$Q_{10\%}$ –მდინარე მტკერის 10%-იანი უზრუნველყოფის წლის მაქსიმალური ხარჯია, რაც ტოლია 2125 მ³/წმ-ის;

g – სიმძიმის ძალის აჩქარებაა.

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეტანით ზემოთმოყვანილ ფორმულაში მიიღება $\mu=0,125$ გრ/ლ-ს არსებულ პირობებში და $\mu=0,135$ გრ/ლ-ს ცალმხრივი კედლის მოწყობის შემთხვევაში; აქედან, ორივე შემთხვევისთვის $d_{dan} = 0,10$ მ-ს.

d_{sash} -კალაპოტის ამგები გრუნტის საშუალო დიამეტრიც განისაზღვრება იმავე მეთოდურ მითითებაში მოყვანილი შემდეგი დამოკიდებულებით

$$d_{sash} = d_{dan} \cdot \left| \frac{(Q_{1\%} - Q_0)}{(Q_{10\%} - Q_0)} \right|^{0.9}$$

სადაც Q_0 –წყლის ხარჯის ის რაოდენობაა, რომლის გაყვლის დროს იწყება მყარი მასალის მოძრაობა კალაპოტის ფსკერზე, $Q_0 = 0,1 \cdot Q_{10\%}$;

$Q_{1\%}$ და $Q_{10\%}$ – 1%-იანი და 10%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯებია;

აქედან მდ. მტკერის კალაპოტის ფსკერზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრი ორივე შემთხვევაში მიიღება 0,14 მ-ის, ანუ 140 მმ-ის ტოლი.

ბ-უბანზომილებო პარამეტრია, რომლის სიდიდე, დამოკიდებული წყლის მაქსიმალური ხარჯის უზრუნველყოფაზე, აიღება სპეციალურად დამუშავებული ცხრილიდან. ჩვენ შემთხვევაში 1%-იანი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯის პირობებში მისი სიდიდე ტოლია 1-ის ;

Y -კალაპოტის სიღრმეული გარეცხვის რეჟუქციის ხარისხის მაჩვენებელია. მისი სიდიდე, დამოკიდებული კალაპოტის ამგები გრუნტის საშუალო დიამეტრზე, აიღება სპეციალურად დამუშავებული ცხრილიდან და ჩვენ შემთხვევაში ტოლია 0,788-ის.

ოცემული რიცხვითი სიდიდეების შეტანით ზემოთმოცემულ ფორმულაში მიიღება ალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე $H_{sash} = 4,83$ მეტრი არსებულ პირობებში და $H_{sash} = 5,95$ მეტრი ცალმხრივი კედლის მოწყობის პირობებში.

კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე, იმავე მითითების მიხედვით, მიიღება დამოკიდებული $H_{maks} = H_{sash} \times 2 = 4,83 \times 2 = 9,66 \approx 9,65$ მეტრი არსებულ პირობებში და $H_{maks} = H_{sash} \times 2 = 5,95 \times 2 = 11,9$ მეტრი ცალმხრივი კედლის მოწყობის შემთხვევაში.

ალაპოტის მოსალოდნელი გარეცხვის მიღებული მაქსიმალური სიღრმეები უნდა გადაიზომოს მდ. მტკერზე 100წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულებიდან ქვემოთ.

ვინაიდან, წყალსადინარების გადაკვეთებზე სარკინიგზო და საავტომობილო ხიდების საძიებო და საპროექტო სამუშაოების ჩასატარებელ მითითებაში არ არის მოცემული ორმხრივ გამაგრებული კალაპოტის გარეცხვის სიღრმის განგარიშების მეთოდი, ამიტომ

მესამე შემთხვევისთვის, ანუ მდ. მტკვარზე ორმხრივიკედლების მოწყობის პირობებში

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემული, მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში ჰიდროტექნიკურ ინაგებოების პროექტირებისას მდგრადი კალაპოტის საანგარიში მეთოდურ მითითებაში.

აღნიშნული მეთოდის თანახმად, კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე მდინარის ორმხრივ გამაგრებული კალაპოტის სწორხაზოვან უბანზე იანგარიშება ფორმულით რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია

$$H_{sash} = \frac{K}{d_{sash}^{0,2}} \left(\frac{q}{g} \right)^{0,8} \text{ მ}$$

სადაც K – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მყარი ნატანის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე, დამოკიდებული წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე (მგრ/ლ), აიღება სპეციალური ცხრილიდან და ჩვენ შემთხვევაში ტოლია 0,9-ის;

d_{sash} – აქაც კალაპოტის ამგები გრუნტის საშუალო დიამეტრია, რაც ამ შემთხვევაშიც ტოლია 0,14 მ-ის;

g – სიმძიმის ძალის აჩქარებაა;

q – მაქსიმალური ხარჯის ხვედრითი ხარჯი ამ³/წმ-ში 1 მეტრ ზემის სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით

$$q = Q \cdot B \text{ მ}^3/\text{წმ}$$

სადაც Q – მდ. მტკვრის საანგარიშო 1%-იანი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯია, რაც ტოლია 3000 მ³/წმ-ის;

B – მდინარის ორმხრივ გამაგრებული კალაპოტის სიგანეა, რაც დამკვეთის მოთხოვნით ტოლია 80 მეტრის; აქედან $q = 37,5$ მ³/წმ-ის.

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეყვანით ზემოთ მოცემულ ფორმულაში, მიიღება მდ. მტკვრის კალაპოტის გარეცხვის საშუალო სიღრმე ორმხრივი კედლების მოწყობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში მდ. მტკვრის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მიიღება დამოკიდებულებით

$$H_{MAX} = H_{sash} \cdot 1,4 = 13,60 \text{ მეტრი}$$

კალაპოტის მოსალოდნელი გარეცხვის მიღებული მაქსიმალური სიღრმე უნდა გადაიზომოს მდ. მტკვარზე ორმხრივ და რეგულირებული კალაპოტის პირობებში დადგენილი 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი დონის ნიშნულიდან ქვემოთ.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული მეთოდები ითვალისწინებს კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალურ სიღრმეს მხოლოდ ალუვიურ კალაპოტში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ დადგენილი გარეცხვის სიღრმეზე მაღლა ადგილი ექნება ძირითადი, კლდოვანი ქანების გამო სასვლელებს, მაშინ ნაგებობა უნდა დაეფუძნოს ძირითად ქანებზე.

13.6 ადგილობრივი გარეცხვის გაანგარიშება ცალმხრივი კედლის შემთხვევაში

ადგილობრივი გარეცხვა საყრდენ კედელთან შესაძლებელია მიღებულ იქნას სტუდენტის ფორმულის გამოყენებით.

გარეცხვის სიღრმე შეიძლება გამოთვლილ იქნას შემდეგნაირად:

$$h = \frac{K_F}{(1+3\rho^{23})^{0,4}} \cdot 1,25 \sqrt{\frac{q}{1,15 \sqrt{qd^{0,25}}}}$$

სადაც

H : კალაპოტის სირღმეგარეცხვისშემდგომ

d : ფსკერის ნაწილაკების საშუალო სისქე იმ შემთხვევაში თუ ფსკერის ალუვიური დეპოსიტები არის 0.14მ.

$$q = \frac{Q}{B}$$

B:ნაწილობრივი ხარჯი

ρ: ნაკადის ტალახიანობა ამ შემთხვევაში გამოთვლებისა და აგრეთვე ჩენი მონაცემების მიხედვით არის 0.135გრ/ლტ

K_F . ნაკადის გარეცხვის შესაძლებლობის კოეფიციენტი ვაკე მონაკვეთებზე $K_F = 1 \div 1,15$, ამ დროისათვის ვღებულობთ მომატებულ ტურბულენტურობას $K_F = 1,25$

სკერის თანახმად გარეცხვის მონაკვეთიარის:

$$\Delta h = h - h_{საკოფ.}$$

სადაც

$h_{საკოფ.}$: კალაპოტის ჩვეული სირღმე (მაგ. სიღრმე გარეცხვამდე).

მომდევნო ცხრილი გვაჩვენებს ნაწილობრივი გარეცხვის ღირებულებას მონაკვეთების მიხედვით:

ცხრილი 13.22: ნაწილობრივი გარეცხვა მონაკვეთების მიხედვით

მონაკვეთის №	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
ნაწილობრივი გარეცხვა	31,4	26,0	27,9	19,7	28,3	26,8	25,6	32,9	42,0	25,2

ცხრილში 13.23 ნაჩვენებია გარეცხვის სიღრმის გაანგარიშება (1) ში ურთიერთობის გამოყენებით.

ცხრილი13.23 :გარეცხვის სირღმე(როგორც მიღებულია (1)-შიურთიერთობის გამოყენებით)

მონაკვეთის №	4	5	6	7	8	9	10	11	12
გარეცხვის სირღმე, მ.	10,49	9,0	9,54	7,22	9,65	9,24	8,9	10,87	13,22

